

# საბა საქართველოს კათოლიკური ყოველთვიური მაცნე

№3  
მარტი  
2008

ეპისკოპოსის მიმართვა

## დიდმარხევა 2008

ძვირფასო ძმანო და დანო!

დიდმარხევის ამ მოკლე გზავნილით მსურს მივმართო თითოეულ თქვენგანს და შეგახსენოთ არა მარტო მარხევის, ლოცვისა და მოწყალების მნიშვნელობა, რაც, დარწმუნებული ვარ, თქვენმა მღვდლებმა უკვე გააქეთეს, არამედ გესაუბროთ კიდევ ერთ საკითხზე. ვფიქრობ მთელი სერიოზულობითა და მთელი გონებით ჩართული ხართ ამ დიდმარხევაში. უპირველეს ყოვლისა არ მინდა, რომ თქვენც გაიაზროთ დიდმარხევისეული მოვალეობანი მხოლოდ როგორც შესასრულებლად სავალდებულო კანონები, ისე, როგორც იმ ქალბატონმა, რომელიც გუშინ ტკბილეულობის მაღაზიაში ვნახე, სწორედ ჩემს წინ იდგა და გამყიდველს პკითხა:

- რა დირს ეს ნამცხვარი?
- ორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი,
- ძვირია, – უპასუხა გამყიდველს ქალბატონმა და იქვე დაამატა:
- კი მაგრამ სამარხევოა?
- არა, – უპასუხა გამყიდველმა.
- მაშინ იყოს, ვერ შეჭამ! – და გააგრძელა, – შემიძლია ვიყიდო ძვირიანი ნამცხვარი, ოდონდ ძალიან გემრიელი უნდა იყოს და რაც მთავარია – სამარხევო, რადგან მორწმუნე ვარ.

ძვირფასო ძმებო და დებო, თქვენი სააღდგომო მარხავ არ უნდა დაეფუძნოს იმ კანონებს, რომლებიც რათქმაუნდა იქსოსგან არ მოდის... იმარხულეთ, ოდონდ ეს გააზრებულად გააკეთეთ, უარი თქვით რამეზე, განსაკუთრებით იმაზე, რაც მეტად გიზიდავთ, ეს იქნება ნიშანი თქვენი გულმოდგინებისა; ისეთი ხრიკების ძებნას ნუკი დაიწყებთ, რომლებიც დაგიმშეიდებთ სინდისს და თან დაგიკმაყოფილებთ სიამოვნების შეგრძნებასაც, ეს ქრისტიანობას აუბრალოებს და აუფასიურებს.

ის, რაც მინდა გითხრათ, ამ მოკლე გზავნილში ბევრად უფრო სერიოზულია, ამაზე ბევრს ვფიქრობდი ამ დღეებში, მას შემდეგ, რაც მე ახალგაზრდულ საბჭოსთან ერთად მოვუსმინე მესხეთ-ჯავახეთის ახალგაზრდებს და ჩემთვის ცნობილი გახდა მათი და, ასევე, მრავალი ახალგაზრდის, და არა მარტო ახალგაზრდის, ტანჯვა და წუხილი; ხალხისა, რომლებიც თავს წნებში გრძნობენ, როგორც დევნილობაში მყოფნი... და ხშირად იძულებულნი არიან შეიცვალონ რწმენა. კიცი, რომ ზოგიერთ სოფელში, სხვადასხვა კათოლიკურ საკრებულოებში შევიდნენ ცხვრის ტყავში გადაცმული მძინვარე შავი მგლები და გატყუებენ თქვენც და თქვენს ოჯახებსაც, და გაიძულებენ უდალატო თქვენი და თქვენი წინაპრების რწმენას, რომლებმაც, თავის მხრივ, კომუნიზმის როულ პირობებში, მოახერხეს შეენარჩუნებინათ, დაეცვათ და მოეტანათ რწმენა თქვენამდე.

მოვისმინე ახალგაზრდების მონაცემლი იმ მზაკვრული ხერხების შესახებ, რომლებსაც იყენებენ ეს მგლები. მაგალითად, ისინი ამბობენ, რომ ავადმყოფობა,

სიკვდილი ან უბედურება ეწვია ამა თუ იმ ხალხს იმის გამო, რომ იქ კათოლიკური მრწამსის მქონე ადამიანები ცხოვრობენ. ძვირფასო ძმანო და დანო, მთელი ჩემი ძალით, სრული დარწმუნებულობით იმაში, რომ ჰემარიტებას ვამბობ, მოგმართავთ და გეუბნებით, რომ მხოლოდ სატანა საუბრობს ამგვარად და მხოლოდ ის მიმართავს ცდუნების ამგვარ ფორმებს და შეიძლება მდვდილის ან მონაზვნის სახითაც კი მოგვევლინოს. უთხარით ეს ყველას, ასევე, იმ მდვდელს ან იმ მონაზონს, რომელიც მოვა თქვენთან ამგვარად სასაუბროდ! შესაძლო (და ვიმედოვნებ) ისინი დარწმუნებულნი არიან (უცოდინრობის გამო), რომ იესოს ამოწმებენ, მაგრამ, ასე, სინამდვილეში, ეშმაკის საქმეებს ასრულებენ. მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია არ ქადაგებს ასე. იყავით მტკიცენი!

შეხედეთ რა ძალა იგრძნობა ამ სიტყვებში, რომლებიც თავის მორწმუნებს მისწერა კარდინალმა სტეფან ვაშინსკიმ კომუნისტური ოკუპაციის პერიოდში: „მზად ვართ გავიღოთ ნებისმიერი მსხვერპლი. თუ საჭირო გახდა დავთმობთ ყველაფერს უკანასკნელ მაისურამდე, მაგრამ ვერ დავთმობთ ვერც ჩვენს სინდისს, ვერც ჩვენს კათოლიკურ რწმენას, ვერც ჩვენს ჯვარს, ვერც სახარებას, რადგან ეს ყოველივე ჩვენ არ გვეცვითვნის: დმერთს, დმრთის ხალხს ეცუთვნის!“ მრავალი საფრთხისა და დევნის წინაშე, დაცინვის (რაც ხშირად ხდება მოსწავლეებს შორის), სამსახურის დაკარგვის შესაძლებლობის (ვიცი, რომ ასეთ მუქარასაც პქონია ადგილი) წინაშე, როცა თავს ვგრძნობთ უმცირესობაში და დასუსტებულად, როცა ხშირად გვესმის, რომ ნამდვილი პატრიოტი მხოლოდ მართლმადიდებელი შეიძლება იყოს და რომ მალე საქართველოში კათოლიკები ადარ იარსებებენ, რადგან ასაკოვანი ხალხი დაიხოცება და ამგვარად, ეს რწმენა გაქრობის გზაზე დგას, ადვილი შესაძლებელია საკუთარი რწმენის დავიწყება და უარყოფა, როგორც ეს მომხდარა კიდეც ეკლესიის ისტორიის მანძილზე.

თუ ჩვენს გულს ქრისტეში მოვათავსებთ, მივიღებთ საჭირო მხენობას, რათა დავძლიოთ ადამიანების ზეწოლა. შიში პირველი ნაბიჯია, რომელსაც საკუთარი რწმენის უარყოფამდე, ქრისტეს უარყოფამდე მივყართ (ეს პეტრესაც დაემართა). არის შიში სიცოცხლის დაკარგვის, უფლებების დაკარგვის, დაუფასებლობის, დაცინვის... მაგრამ ახლა დროა გავხდეთ ძლიერები!!! სად არიან მესხეთ-ჯავახეთის კათოლიკები, რომლებიც ერთ დროს თავიანთი ერთგულებით იყვნენ ცნობილნი? სად არიან არლელი მორწმუნები, რომლებიც ადრე ამაყობდნენ თავიანთი უმწიკვლო, მოუსყიდველი კათოლიკის გამო? სად არიან ის მამები და დედები, რომლებიც, ერთ დროს, თბილისამდე, ჩამოდიოდნენ შვილის მოსანათლად? და დღეს კი ურჩევნიათ იგი მართლმადიდებლურ ეკლესიაში მონათლონ, იმ საბაბით რომ, როცა გაიზრდება ნაკლები პრობლემა შეხვდებაო სკოლაში, ან სამსახურის მოქებნისას, ან დაოჯახებისას. მამებო, დედებო, ახალგაზრდებო... სად ხართ?

იესომ გვითხრა: „ნეტარ ხართ თქვენ, როცა გაგლანძღვენ, გაგდევნიან და ყოველნაირად ბოროტეს იტყვიან თქვენზა ჩემს გამო.

იხარეთ და იმხიარულეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცაში. ასევე დევნიდნენ წინასწარმეტყველთ, რომლებიც თქვენზე უწინ იყვნენ“ (მათ. 5, 11-12). და ამიტომ წმიდა პეტრე, როცა ქრისტიანებს წერდა, ამბობდა: „მაგრამ ნეტარი ხართ თქვენ, რომ იტანჯოთ კიდეც სიმართლისათვის!!! ეს ცხადი ნიშანია იმისა, რომ იმ გზას ადგახართ, რომელიც თავად ქრისტემ გაკვალა!“ (იხ. 3, 4) ვინც მტკიცედ დგას თავის რწმენაში, შეძლებს დაიცვას იგი ნებისმიერი ადამიანის წინაშე, თავაწეულმა, მომდიმარი სახით. ჩვენ არ შეგვიძლია ტყუილებს ტყუილით ვუპასუხოთ, ან პროზელიტიზმს – პროზელიტიზმით, რასაც ზოგიერთი მართლმადიდებელი სჩადის. ამის გამო ვართ სუსტები. გახსოვდეთ, რომ ვისაც უყვარს ყოველთვის სუსტია... რადგან ვისაც სერიოზულად უყვარს

ეშმაკის იარაღს ვერ გამოიყენებს. არამედ, ვისაც უყვარს, ის დმრთის ნებაში იმყოფება... და საბოლოოდ ყველაზე ძლიერი აღმოჩნდება!!! იქსო ჯვარს აცვეს! გახდა სუსტი, რათა დმრთის ერთგული ყოფილიყო. ნუ დაკარგავთ მხენების და სიმტკიცეს! იქსო, შემდგომში განდიდებულ იქნა მამა დმერთის მიერ. იგი, მას სშმდებ, რაც ჩავიდა ქვესკნელში, აღდგა მკვდრეთით. საკმარისია მცირეოდენი მოორინება!!! ეს არის დიდი მარხვა!!!

ყველას გიხენებთ ჩემს ლოცვებში!

კეთილ დიდმარხვის პერიოდს გისურვებთ.

ლათინური წესის კათოლიკეთა  
სამოციქულო ადმინისტრატორი ამიერკავკასიაში,  
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

## რედაქციის გვერდი

ვეძებოთ ის, რაც გვაერთიანებს და არა ის, რაც გვყოფს

სიამოვნებით წავიკითხე ა.წ. თებერვლის "საბას" ნომერში (გვ. 6) გამოქვეყნებული სოფ. არალის კათოლიკური საკრებულოს ახალგაზრდული ჯგუფის მიერ ხელმოწერილი მოკლე წერილი.

სამწუხაროდ, ამ წერილისგან მიღებული სიამოვნება მყისვე გააქრო მეორე სტატიამ, რომელიც გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (2008 წ. 10 თებერვალი, გვ. 4) წავიკითხე სათაურით „რწმენით გამთბარი ნახატები“, სადაც სტატიის ავტორი ქნი, ეთერ ერადე სწორედ სოფ. არალში მოღვაწე მ. იოსების საქმიანობაზე საუბრობს; რაოდენ საჭიროდ და ამავდრულად, რაოდენ რთულად (შეუძლებელზე რომ არაფერი ვთქვა) მეჩვენება ჩვენი ახალგაზრდების სურვილი, „რომ ეძებონ მხოლოდ“. ვერაფერს ვიტყვი ამ სტატიის სათაურზე და საეკლესიო გალობისა თუ ხატების მნიშვნელობასა და სილამაზეზე, ალბათ ბავშვებმა მოზრდილებზე მეტად იციან ხატების შეფასება და ეს, ალბათ, ნამდვილად იარაღია როგორც მათი, ასევე ჩვენი რწმენის გასაცოცხლებლად; ყოველთვის მახსენდება ბავშვების მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება უწმინდესი სამების წინაშე, რასაც დანიელ ანჯე წარმოგვიდგენს ლამაზ კომენტარებად; მართლაც გასაოცარი კომენტარები გამოსდით ეკროპელ მოზარდებს; ხოლო როცა მოზარდებს სარწმუნოებრივად იმგვარად მოძღვრავენ, რომ ერთადერთი პასუხი კითხვაზე თუ რატომ დაუბრუნდენ მამა-ააკების რწმენას – სააღდგომო ცეცხლის გარდამოსვლასთან დაკავშირებულ მითქმა-მოორინდებს ეყრდნობა, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს წმ. პეტრეს ან წმ. პავლეს სიტყვები, როდესაც საუბრობს „ამქვეყნიურ და დედაბრულ ზღაპრებზე“. ჩვეულებრივ, სწორედ ეს არგუმენტები მოჰყავთ კათოლიკიზმის, პროტესტანტიზმის ხარჯზე და თავად... ყველასათვის მკვდარი და აღმდგარი ქრისტესი, რომელიც ერთ რწმენაში აერთიანებს ყველა ქრისტიანულ ეკლესიას; ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მახსენდება რომ იერუსალიმის წინამორბედი მართლმადიდებელი პატრიარქი, რომელმაც შეძლო ცეცხლის გამოტანა, წმიდა სინოდის მიერ გადაყენებული იქნა სკანდალებისა და ტყუილების გამო! როგორ შეიძლება ამგვარად იქადაგო? ამით ცალსახად აცხადებენ, რომ კათოლიკურმა ეკლესიამაც თავისი დამაჯერებლობა და აღმატებულება სხვა ეკლესიებზე არა ქრისტეს სახარების ერთგულებით აჩვენოს, არამედ ყველა იმ სასწაულით, რაც ლურდში (საფრანგეთი) ხდება ყოველდღიურად 150 წლის მანძილზე ღვთისმშობლის გამოცხადების დღიდან.

ნუთუ ეს ნიშნავს მამა-პაპათა რწმენაში დაბრუნებას, რამდენიმე საუკუნის წინ რომ მიატოვეს, როდესაც ამ რეგიონში ეკროპული კათოლიკიზმი შევიდა? ამით ხომ სრულებით არ ვეძებთ „მას რაც გვაერთიანებს, არამედ მხოლოდ მას, რაც გვანსხვავებს“; და ასე ქმნიან კათოლიკისგან მართლმადიდებლების მტრებს, რაც ნამდვილი აბსურდია! ეს იმას გავს,

რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ამავე სოფელ არალში, ვინმექ რომ თქვას, ყველანი უნდა დავუბრუნდეთ ჩვენი დრმადმორწმუნე კათოლიკე ბებია-ბაბუების რწმენას; მაგრამ ესეც ხომ აბსურდული იქნებოდა; ასე თუა, რატომ არ უნდა დავუბრუნდეთ ქრისტიანობამდელ ტრადიციებს? ისიც ხომ ვიცით, რომ ქრისტიანობა საქართველოში წმიდა მოციქულთა, წმიდა კაპადოკიელთა, წმიდა ასურელი მამების ქადაგებით შემოვიდა, და ეს გახლდათ სწორედ რომში, ალექსანდრიაში, ანტიოქიაში, იერუსალიმში ნაქადაგარი ქრისტიანობა. განა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ქრისტიანობის სიწმინდის დაცვა და დამოწმება, ყველა იმ ეკლესიათა თანაზიარების დაბრუნება, რომლებმაც სამოციქულო ქადაგების სიწმინდე შეინარჩუნეს? ამბობენ, რომ რომი და დასავლური ქრისტიანობა ერეტიკული, სქიზმატური გახდა და ამიტომაც მისგან თავი შორს უნდა დაიჭირონ, აღავეთონ საქართველოში მისი არსებობა; თითქოს არც ესმოდეთ გამოწვევები კათოლიკე ეკლესიასთან დიალოგში, ისევ აგრძელებენ სიცრუის ოესვას და კათოლიკეთა ხელახალ მონათვლას; თუ რატომ ეს საიდუმლოდ რჩება.

საიდუმლო კი სულაც არ არის თუ რატომ გაჩდნენენ ამ წმინდა კათოლიკურ თემში მართლმადიდებლები და არც ის თუ როგორ ნელ-ნელა გადაიყვანეს ზოგიერთები მართლმადიდებლობაში, იმავე ფორმების (ჰუმანიტარული დახმარებები) უსახური გამოყენებით, რაშიც სრულიად უსაფუძვლოდ ადანაშაულებდნენ კათოლიკებს.

საიდუმლო სულაც არ გახლავთ მისთვის, ვინც ამ სოფლის ოჯახებში და მოელი საზოგადოების შიგნით შუდლს თესავს, ისეთ მიზეზებს იგონებს, რამაც შესაძლოა მშვიდობას საფრთხე შეუქმნას; თუმცა ამის წინაშე ყველა დუმს, დაწყებული პოლიტიკოსებიდან, უურნალისტებიდან, პატრიარქიდან, დიპლომატიური კორპუსებიდან, ადამიანთა უფლებათა დამცველი ასოციაციებიდან...; პირიქით, ყველაფრის ქართულ მართლმადიდებლობასთან დაკავშირება დღეს ერთგვარ თავმომწონეობად ქცეულა, თითქოსდა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი აღარაფერი არსებობდეს.

საბრალოა ქართველი, ვის ძარღვებშიც იოტისოდენა მართლმადიდებლური სისხლი არ ჩქეფს (?) და მაინც, ამ უსახური იდეოლოგის წინაშე, თავს ისე გვაჩვენებენ ვითომც ვერაფერს ხედავენ... ისევ და ისევ საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური ინტერებიდან გამომდინარე... თუ ასე გაგრძელდა, მაშინ რთული დღეები მზადდება მათვის, ვინც არ არის მართლმადიდებელი და ვინც ამგვარად არ ფიქრობს ამ სოფელში!

საიდუმლოს არ წარმოადგენს სოფ. არალის იმ შენობის ისტორია, რასაც ამდენი წლები ითხოვდნენ კათოლიკები სოფლის სამრევლოს სამოღვაწეო ცენტრისათვის, და რაზეც ყოველთვის გამზადებული ჰქონდა უარი ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ საკმარისი გახდა საპატრიარქოს ერთი ზარი ახალციხეში და შენობა მეორე დღესვე რამდენიმე მართლმადიდებლის ხელში გადავიდა, და დროის უსწრაფესად შეცვალეს და შერაცხეს იგი წმ. ნინოს ეკლესიად. ეს ყველაფერი უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ? მოდით, დავითიქრდეთ, რამდენი ხანია ვცდილობთ ეკლესიის აგებას თუნდაც ახლციხეში, და დღემდე გერ შევძელით ეს; რატომ?

საკმაოდ ვისიამოვნე რუმინეთის პატრიარქთან, მის უწმინდესობა დანიელთან აღებული ინტერვიუთი, რომელიც ჟურნალ „JESUS“ 2008 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნდა; ამავე ნომერში გთავაზობთ მის თარგმანს, და ვისურვებდი, რომ ეს იყოს იმედის ნიშანი, პირველ რიგში, არალის მორწმუნე კათოლიკებისთვის, რომლებიც ამ თვეში თავიანთი მფარველის, ლვოისმშობლის ნეფის წმ. იოსების დღესასწაულს აღნიშნავენ, ვის სახელსაც ეკლესია ატარებს,

და ასევე მართლმადიდებლებისთვის, რათა შეგვეძლოს ერთად „გემებოთ ის, რაც გვაერთიანებს და არა ის, რაც გვყოფს“.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

### კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

#### **Pro Oriente: დიალოგი აღმოსავლეთ ევროპის ეკლესიებთან**

“ვენა – მართლმადიდებლებთან დიალოგის შუაგულში” – ამ სათაურით ფრანგული გაზეთი “კრუა” აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ფონდის “Pro Oriente” საქმიანობაა აღწერილი. ფონდი დაარსდა 1964 წელს ვენის მთავარეპისკოპოსის კარდინალ ფრანც კენიგის მიერ. ახალდაარსებული ორგანიზაციის მიზანი იყო დიალოგის განვითარება აღმოსავლეთ ევროპის ეკლესიებთან, რომლებიც იმ დროს კომუნისტური რეჟიმის ზეწოლას განიცდიდნენ. იმ მბიმე ხანას ფონდი პირველხარისხოვან როლს ასრულებდა კათოლიკე ეკლესიასა და მართლმადიდებელ სამყაროს შორის ურთიერთობათა განვითარებაში.

“ურთიერთდამოკიდებულება ვენისა და მოსკოვის ეპარქიებს შორის ჩინებულია. აქ არ არის ის დაძაბულობა, რომელიც შეიძლება რომსა და მოსკოვის საპატრიარქოს შორის წარმოშვას” – ამბობს ფონდის ამჟამინდელი პრეზიდენტი იოჰან მარტე. მან შვიდი წელი დაჲყო მოსკოვში ავსტრიის საელჩოს კულტურის ატაშეს თანამდებობაზე და დღესაც ინარჩუნებს ახლო ურთიერთობებს რუსეთის სასულიერო პირებთან და ინტელექტუალებთან. იგი დარწმუნებულია, რომ “ვენა ევროპის ერთგვარი ეპუმენური ცენტრია”.

ფონდის პრეზიდენტის ამ აზრს აღმოსავლეთის ეკლესიათა ინსტიტუტის დირექტორი რუდოლფ პროკშიც იზიარებს. იგი ამბობს, რომ დიალოგის ეს ტრადიცია – არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის, არამედ სომხურ, სირიულ და კოპტურ ეკლესიებთან – დასაბამს ჯერ კიდევ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დროიდან იღებს.

#### **პირველი კათოლიკური ტაძარი კატარში**

კატარის მთავრობამ რომის კათოლიკე ეკლესიას ქვეყნის ტერიტორიაზე ტაძრის აშენების ნება დართო. ამ ცნობას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა კატარის მასშტაბში. “ჯვარი არ უნდა აღიმართოს კატარის ცის ქვეშ. ზარის ხმა არ უნდა გაისმოდეს დოპაში” – ნათქვამია გაზეთ “Al Arab”-ის ერთერთ რეაქციულ სტატიაში. ხელისუფლების პასუხი ცალსახაა: “ეველას აქვს კულტის აღსრულების უფლება. იგი გარანტირებულია ისლამის, ყურანისა და მოციქულის მიერ”.

გაზეთ “Al Rayya”-სთვის მიცემულ ინტერვიუში დოპას კათოლიკური ცენტრის ხელმძღვანელმა მამა ტომსიტო ვენერასიონმა აღნიშნა, რომ კატარში ამჟამად 100 ათასზე მეტი კათოლიკე ცხოვრობს. ეკლესია დმრთისმშობლის სახელობისა იქნება. გახსნა 15 მარტისთვისაა დაგეგმილი. წინასწარ წამოყენებული პირობის თანახმად, ეკლესიის ფასადზე ჯვარი არ იქნება გამოსახული.

#### **ტადეუშ კონდრუსევიჩი დადგებითად აფასებს ბელორუსიის კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ურთიერთობებს**

ტადეუშ კონდრუსევიჩის განცხადებით ბელორუსიაში კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა დიალოგი დინამიურად ვითარდება. “ცხადია, ყველა პრობლემის ერთპაშად მოგვარება ვერ მოხერხდება, მაგრამ ჩვენი ურთიერთობების თანამედროვე ეტაპზე ჩვენ საერთო პასუხისმგებლობას გვრძნობთ თანამედროვე სეკულარული სამყაროს გამოწვევების წინაშე, ვცდილობთ, ერთად დავიცვათ ზნებრივი ფასეულობები და დაგუბრუნდეთ ქრისტიანულ ფესვებს, რომლებიდანაც ჩვენი ცივილიზაცია ამოიზარდა” –

აღნშნა რომის კათოლიკე ეკლესიის მინსკისა და მოგილევის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა ტადეუშ კონდრუსევიჩმა ონლაინ-კონფერენციის მსვლელობისას. “ბელორუსის სოფლებში უნიკალურ სანახაობას წააწყდებით: ერთად აღმართული კათოლიკური და მართლმადიდებლური ჯვრები და მათ შორის – ლმრთისმშობლის ქანდაკება. ეს მშვენიერია. საჭიროა ამ პროცესის განვითარება და იგი შეთანხმებულ პოზიციებამდე მიგვიყვანს” – დაამატა იერარქმა.

### **“მთავარეპისკოპოსმა ქრისტოდულოსმა ბევრი რამ გააკეთა კათოლიკე ეკლესიასთან ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის”**

ათასობით მორწმუნე დაესწრო ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოსის ქრისტოდულოსის დაკრძალვას.

“იგი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ეკლესიას ქმედითი მონაწილეობა მიეღო საბერძნეთის პრობლემების გადაწყვეტაში, მედგრად იცავდა ზნეობრივ ფასეულობებსა და ქრისტიანულ მემკვიდრეობას, რომელიც ეჭვისა და უარყოფის საგნად იქცა საერთოათვის სეკულარიზაციის ხანას. იგი ესწრაფოდა იმისკენ, რომ ეკლესიის სამწყსო მოღვაწეობა რეალური ეკონომიკური და კულტურული პრობლემების გადაწყვეტისას ყოფილიყო მიმართული. ყოველთვის ახლოს იყო ახალგაზრდობასთან, რომელიც შორდებოდა ეკლესიას და კვლავაც აახლოებდა მასთან” – აღნიშნა ვატიკანის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ქრისტიანული ერთობის ხელშეწყობის პაპის საბჭოს კონსულტანტმა დიმიტრიოს სალახასმა.

თავის სამძიმარ წერილში პაპმა ბენედიქტე XVI-მ ქრისტოდულოსის ეკუმენური დვაწლი გაიხსენა. ორი მწყემსმთავრის ისტორიული შეხვედრა 2006 წლის დეკემბერში უმნიშვნელოვანების ნაბიჯი იყო კათოლიკეთა და საბერძნეთის მართლმადიდებელთა მეგობრული ურთიერთობების აღდგენისთვის.

### **კათოლიკე ეკლესია მონდოლეთში პირველი მისიის დაარსების 15 წლისთავს ზეიმობს**

პირველი მისია მონდოლეთში 1992 წელს დაარსდა მარიამის უმანქო გულის კონგრეგაციის მისიონერისა და მისი ორი თანამომმის ღვაწლით. დღეს მონდოლეთში მსახურობს ცხრა ორდენის 64 წარმომადგენელი 18 ქვეყნიდან და 6 მისიონერი საერთოაგან. ამჟამად მონდოლეთში 415 კათოლიკეა. 2007 წელს ნათლობა მიიღო ქვეყნის სამოცდაათმა მკვიდრმა. ამავე წელს მონდოლეთსა და წმიდა საყდარს შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 15 წლისთავი აღინიშნა. ულან-ბატორის სამოციქულო პრეფექტმა ეპისკოპოსმა ვენცესლავ პადილამ სააგენტო “Asianews”-თვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისიონერთა საქმიანობა ამ ქვეყანაში სოციალურ, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო სფერობს მოიცავს. მათი მიზანია, დაეხმარონ ადგილობრივ მორწმუნებებს დაინახონ ბიბლიაში, საიდუმლოებების აღსრულებასა და მოყვასის მსახურებაში ადამიანის ცხოვრების უმთავრესი საზრდო.

ამჟამად მონდოლეთში ექვსი მისიონერული ცენტრია. მისიონერთა ღვაწლით აშენდა სოფელი უსახლკარო ბავშვებისთვის, დაარსდა ცენტრები ძნელადაფსაზრდელი მოზარდებისა და უნარშეზღუდული ბავშვებისთვის; მათ, ვისაც უნივერსიტეტი სწავლის შესაძლებლობა არ გააჩნია, ცოდნის მიღებს საშუალება პროფესიულ სასულიერო სასწავლებელ “ღონ ბოსკო”-ში აქვთ, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს კი ეკლესიასთან და მისიონერულ ცენტრებთან არსებულ საერთო საცხოვრებლებში შეუძლიათ ცხოვრება.

### **წმიდა საყდარი სერბეთისა და კოსოვოს პოლიტიკოსებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს**

“წმიდა საყდარი სერბეთისა და კოსოვოს პოლიტიკოსებს სიფრთხილისა და ზომიერებისკენ მოუწოდებს და მოითხოვს, ზომები მიიღონ ექსტრემისტული რეაქციებისა და მოსალოდნელი ძალადობის წინააღმდეგ” – ნათქვამია ვატიკანის პრეს-სამსახურის კომუნიკაციი – “კოსოვოს დამოუკიდებლობის ერთმხრივი გამოცხადება ქმნის სრულიად ახალ სიტუაცის, რომელსაც, ბუნებრივია, ვატიკანი დიდი ყურადღებით მიადევნებს თვალს”.

6 იანვარს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრისას პაპმა გამოოქვა სურვილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს კოსოვოს ყოველი მცხოვრების უსაფრთხოება და პატივისცემა, აცილებულ იქნას კონფლიქტისა და ძალადობის საფრთხე და გამყარდეს ევროპის სტაბილურობა.

2 თებერვალს, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ორი კვირით ადრე შედგა კოსოვოს ავტონომიური პროვინციის პრეზიდენტის ფატირ სეიდიუსა და ბენედიქტე XVI-ის შეხვედრა, რომლის დროსაც პონტიფექსმა კიდევ ერთხელ მოუწოდა შერიგებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ კოსოვოს ყველა მკვიდრის კეთილდღეობისთვის, მიუხედავად მათი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. ამ შეხვედრის კომენტირებისას წმიდა საყდრის პრეს სამსახურმა აღნიშნა, რომ სერბეთის ავტონომიური პროვინციის მეთაურის აუდიენცია არ გულისხმობს წმიდა საყდრის პოზიციის შეცვლას კოსოვოს იურიდიული სტატუსის მიმართ. კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში წმიდა საყდარი, საერთაშორისო თანამეგობრობის ორიენტირების გათვალისწინებით, თავის შეფასებას მისცემს განვითარებულ სიტუაციას.

### **გაბონის დედაქალაქში კათოლიკური ტაძარი აღიმართება**

ტაძარი ხუთი ათასამდე მორწმუნებს დაიტევს. თეთრი ბეტონისა და მარმარილოს ტაძარი 70 მეტრიანი კოშკით იქნება დაგვირგვინებული. პროექტი ჯერ დაუსრულებელია, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ტაძარს “მშვიდობის მტრედის” ან ლოცვისთვის შეერთებული ხელების ფორმა ექნება. ტაძრის წინ მდებარე მოედანი ათას მორწმუნებს დაიტევს. მშენებლობის ხარჯებს (დაახ. 100 მილიონი ევრო) ძირითადად სახელმწიფო გაიღებს. სახელმწიფოს მონაწილეობა ამგვარ პროექტში უპრეცედენტოა დასავლეთ აფრიკისთვის.

ტაძრის მშენებლობა მარტში დაიწყება. ბაზილიკა მრავალრიცხოვან მორწმუნეთა შეკრებისთვის იქნება განკუთვნილი, რისთვისაც აქამდე ლიბრეგილის სტადიონები გამოიყენებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლიბრეგილის ბაზილიკის მთავარი ინვესტორი, ქვეყნის პრეზიდენტი ომარ ბონგო ონდიმბა – მუსლიმია. ეს საჩუქარი რელიგიურ უთანხმოებათა დაძლევის ნიშნად უნდა იქცეს.

**რუბრიკა მოამზადა  
რუსუდან ავალიშვილმა**

### **კათოლიკე ეკლესია საქართველოში**

„საქართველოს კარიტასის“ პროექტები

**საქართველოს მოქალაქეთა მდგომარეობის სიტუაციის სტაბილიზება და მიგრაციის პრევენცია**

2005 წლის აგვისტოში, საქართველოში, „ჩეხეთის კარიტასის“ პარტნიორობით დაიწყო პროექტის – საქართველოს მოქალაქეთა მდგომარეობის სიტუაციის სტაბილიზება და მიგრაციის პრევენცია – განხორციელება. პროექტს, სახელმწიფო პროგრამების ჩარჩოებში – „თანამშრომლობა განვითარებისათვის“, აფინანსებდა ჩეხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

პროექტის ძირითადი მიზანი იყო: საქართველოს მოქალაქეებისათვის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება და საქართველოდან

იძულებითი იმიგრაციის თავიდან აცილება. ამ მიზნის მისაღწევად დაიგეგმა სხვადასხვა ტრენინგები: ბენეფიციარების კვალიფიკაციის ამაღლება ან მათი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე პერეკვალიფიკაცია. ამას გარდა ჩატარდა ბიზნეს-დაგეგმარების, მცირე უპროცენტო კრედიტების განაწილებისა და სამუშაოს ძებნის უნარ-ჩვევების ტრენინგები.

პროექტის განხორციელების სამი წლის მანძილზე ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამები, კოსმეტოლოგია, საერთო მაკიაჟი, კულინარია, ტურიზმის მენეჯმენტი, საბანკო საქმე, მენეჯმენტი, მარკეტინგი, პიარი (საზოგადოებასთან ურთიერთობა), ბიზნესის დაგეგმარება დამწყები ბიზნესმენებისათვის, მუშაობის ძებნის უნარ-ჩვევები.

პროექტის განმავლობაში სხვადასხვა ასაკის (18-55 წ.) 500-მდე ბენეფიციარმა შეძლო აემაღლებინა თავისი კვალიფიკაცია, ან გადამზადებულიყო, რათა მეტი შანსი პქონოდა შრომის ბაზარზე. პროექტის ბევრმა მონაწილემ შეძლო სამუშაოს პოვნა ან გაიმაგრა თავისი პოზიციები მველ სამუშაო ადგილზე.

გარდა ძირითადი ტრენინგებისა, ბენეფიციარები, რომლებიც მონაწილეობდნენ ბიზნეს-დაგეგმარებაში და წარადგინეს ასე თუ ისე რეალური და საინტერესო ბიზნეს გეგმები, დაფინანსდნენ მცირე უპროცენტო კრედიტებით. ამ ფინანსების წყალობით, ადამიანებმა შეძლეს განეხორციელებინათ თავიანთი ბიზნეს-იდეები და დაეწყოთ საკუთარი მცირე ბიზნესი. ძირითად კრედიტები გაიცა სამცხე-ჯავახეთის, გურიის და იმერეთის რეგიონების სოფლებში. კრედიტების მცირე რაოდენობა განაწილდა, ასევე, თბილისში. სულ გაიცა 37 მცირე კრედიტი. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაბრუნებული კრედიტები ხვდება განსაზღვრულ ფონდში და შემდგომ გამოყენებული იქნება სოფლებისა და თბილისის სამრევლოებისათვის.

იმისათვის, რომ სოფლები გამოვლინონ მრევლის საჭიროებანი და, აქედან გამომდინარე, შეადგინონ და წარადგინონ პროექტები, ასევე, ისწავლონ მუშაობა სოფლის საკრებულოებში, პროექტის ჩატარებში ჩატარდა ორი სპეციალური ტრენინგი: 1. სოფლის საკრებულოების განვითარება; 2. საკრებულოების ლიდერთა ტრენინგი; საკრებულოს განვითარება და დაგეგმარება.

პროექტი ძალიან მრავალფეროვანი იყო. წეროვანში მისივე დახმარებით მოხერხდა ჩატარებულიყო ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო თემებზე. თავდაპირველი იდეა იყო მოეწვიათ სხვადასხვა საკრებულოთა წარმომადგენლები ტრენინგებში მონაწილეობისათვის. თემები თავად შეეძლოთ შეეთავაზებინათ წინასწარ დარიგებული კითხვარების მიხედვით. ორი წლის განმავლობაში, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტთან, თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა ამ იდეების ხორცშესხმა. ტრენინგებში, გარდა საკრებულოების წარმომადგენლებისა, ხსენებული უნივერსიტეტის სტუდენტებიც იდებდნენ მონაწილეობას. განხილული იქნა შემდეგი თემები: მედიცინური, მეთესლეობა. სოფლის მეურნეობის საფუძვლები და ა. შ.

ერთ-ერთი პროექტის მიხედვით, რომელიც მხარდაჭერილი იქნა პროექტის – „მიგრაციის პრევენცია“ – ფარგლებში „საქართველოს კარიტასის“ „არტ-სტუდიოს“ ბენეფიციარებისთვის გაიხსნა სახელოსნო „თექა“. გოგონებმა, რომლებმაც გაიარეს საფუძვიანი კურსები კარიტასის სახელოსნოში, შესაძლებლობა მიეცათ გაეგრძელებინათ მუშაობა „თექაში“. ამ სახელოსნოს წყალობით, 23 გოგონას ამჟამად აქვს მუდმივი სამუშაო, შუბლიათ თავის რჩენა და ხანდახან ოჯახის დახმარებაც. სახელოსნოში მუშაობის პირველ წელს იყიდეს მასალები, გაიბა აუცილებელი კონტაქტები, გოგონებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია და გააუმჯობესეს მუშაობის ხარისხი. ამჟამად, მუშაობის მესამე წელს, შედეგი სახეზეა. გოგონების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოხდა ჩეხეთში, გერმანიასა და იტალიაში. სახელოსნოს ხელმძღვანელებმა გაიარავს

მარკეტინგის სპეციალური კურსები, რათა მიედოთ ბაზარზე ორიენტაციის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ჩვენ გვინდა მადლიერება გამოვხატოთ, პირველ რიგში, ჩვენი ძირითადი პარტნიორის ჩეხეთის კარიტასის მიმართ, რომლებიც დაგვეხმარნენ მონაწილეობა მიგვედო პროგრამაში – „თანამშრომლობა განვითარებისათვის“ და განგვეხორციელებინა ასეთი საინტერესო და ძალიან საჭირო პროექტი. დიდი მადლობა საქართველოში აკრედიტებულ ჩეხეთის საელჩოს, ყველა ჩვენს პარტნიორს და მეგობარს, რომლებიც მუდმივად გვიჭრდნენ მხარს ამ პროექტის განხორციელებაში.

ილონა ადამოვა  
პროექტის კოორდინატორი

### ნინობა ვალეში

წმ. ნინო ყველა ქართველისათვის განსაკუთრებული მფარველი და საყვარელი წმიდანია, რადგანაც, გადმოცემის თანახმად, მან განახაოლი საქართველო და ქრისტეს რჯულზე მოაქცია. ქართველები საუცუნების განმავლობაში დიდი მოწიწებით აღნიშნავდნენ ნინობას.

27 იანვარს სრულიად საქართველო ნინობას ზეიმობს, ასე იყო ვალეს ეკლესიაშიც, სადაც მრავალ მორწმუნებს მოექარა თავი და წმ. ნინოს შესთხოვდა ქვეუნის გამოლიანებას.

წმ. წირვას მამა ზურაბ კაკაჩაშვილი უძღვებოდა. გუნდი საზეიმოდ გალობდა წმიდანის საგალობლებს. ყველა დიდი აღმაფრენით ლოცულობდა, რადგანაც იცოდნენ, რომ მათთან ერთად მთელი ქართველი ერი მუხლმოყრილი აღავლენდა ვედრებას წმ. ნინოსადმი.

წმ. წირვის დასასრულს ბავშვებმა (კატებისტი ეკა ხითარიშვილი) წარმოადგინეს წმინდანისადმი მიძღვნილი სპექტაკლი, რომელიც ასახვადა მის ცხოვრებას, საქართველოში ჩამობრძანებასა და მოღვაწეობას.

სპექტაკლის ბოლოს ბავშვებმა საზეიმო სადილი გაუმართეს სტუმრებსა და საკრებულოს წევრებს. იყო მრავალი მილოცვა და კეთილი სურვილი.

ვიმედოვნებო, წმ. ნინო შეისმენს ჩვენს ვედრებას, გაამთლიანებს ჩვენს სამშობლოს და დაიფარავს მას გაჭირვების ჟამს.

თამრიკო ჩიტაშვილი

### საშობაო წირვა ახალციხის საკრებულოში

25 დეკემბერი, ქრისტეს შობა, შობა უფლისა და შობა მაცხოვრისა, შობა ჩვენი მხსნელისა – ამ რწმენით შეიკრიბა ახალციხის სავარდის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის მრევლი 25 დეკემბრის შობის წირვაზე მონაწილეობისათვის.

საკრებულოს კატებისტები მ. მღებრიშვილი და მ. დიდიმამიშვილი მთელი სამი კვირის განმავლობაში ამზადებდნენ ბავშვებს სადღესასწაული წირვისათვის.

საკრებულოში დილიდანვე დაიწყო სადღესასწაულო სამზადისი. წმ. წირვას უამრავი ადამიანი ესწრებოდა, როგორც ახალციხიდან, ასევე, ახლომახლო სოფლებიდან.

საშობაო წმ. წირვა მამა ზურაბ კაკაჩაშვილმა აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ კი ყველას მიულოცა ეს ბრწყინვალე დღესასწაული.

საკრებულოს ბავშვებმა წირვის მონაწილეოთათვის მშვენიერი წარმოდგენა დადგეს, რომელიც უფლის დაბადებას ეხებოდა. მათმა გულწრფელმა და უშუალო, ბავშვური წარმოდგენით შესრულებულმა სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ მამა ზურაბმა აკურთხა ბავშვები და საშობაო საჩუქრები გადასცა.

მრევლის უფროსმა წევრებმა კი ერთმანეთს შობა ტკბილეულითა და კეთილი სურვილებით მიულოცეს.

აღსანიშნავია, რომ ადგენტის დროს მრევლის მთავარი თხოვნა ახალციხეში ეკლესიის მშენებლობის დაწყება იყო.

იმედია, უფალი შეისმენს ამ ვედრებას.

**P.S. „საბას“** რედაქციაც უერთდება ახალციხელთა ამ ვედრებას და უსურვებს მათ, რომ 2009 წელის შობის დღესასწაულ ახლადაგებულ ეკლესიაში იზეიმონ. ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ თხოვნას საქართველოს ყველა კათოლიკური საკრებულოების მორწმუნებიც შეუერთდებიან.

ელზა ზუბაშვილი

## ეკუმენური გეერდი

### ჯვრის ეკუმენიზმი სულიერი უდაბნოს წინააღმდეგ

ხტატია ამოღებულია ყოველთვიური რელიგიური უკრანის კურნალი JESUS-დან 2008 წ. იანვარი, № 1

როდესაც გასული წლის 30 ივნისს, როდესაც რუმინეთის მხცოვანი პატრიარქი თეოქტისტე გარდაიცვალა, ეკუმენიზმისადმი გულმხურვალედ განწყობილ ადამიანთა ფიქრი მოლდოვეთის და ბუხოვნიის მეტროპოლიტზე, დანიელ ჩობეთეაზე შეჩერდა. მასზე უკეთ, სხვას ვის შეეძლო წინამდობობა აეღო მსოფლიოში მეორე მართლმადიდებელ ეკლესიაზე (რუსულის შემდეგ), რომელიც 19 მილიონ მორწმუნეზე მეტს ითვლის? 56 წლის მიტროპოლიტი ნამდვილად გამოირჩევა უცხოეთში მიღებული ცოდნით და სამი დოქტორატით, ქ. ბოსეის (შვეიცარია) ეკლესიის ეკუმენური საბჭოს თეოლოგიურ ინსტიტუტში რვაწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით, კომუნიკაციისა და ინფორმაციის პრობლემებისადმი უდიდესი გულისხმიერებით. თავისთვად ნათელი არჩევანი საზეიმოდ გაცხადდა 12 სექტემბრს ქ. სიბიუს ასამბლეის დასრულების შემდეგ.

რუმინეთის ახალ პატრიარქთან, დანიელთან ადებული ინტერვიუ რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, ყველა ეკლესიისთვის კარგად ნაცნობი კითხვით იწყება.

### როგორ შეძლებენ ერთმანეთში ასე გაყოფილი ქრისტიანები ერთიანობის დამოწმება?

ეკლესიები უფრო სარწმუნონი არიან თუკი ერთობლივად მუშაობენ აქტუალურ პრობლემატიკებზე „ჯვრის ეკუმენიზმის“ გაძლიერებით, ვიდრე ერთმანეთთან კინკლაობით, ურთიერთგამიჯვნით ან უგულებელყოფით. სულიერი განახლება, ასე რომ ეწაფება პოსტმოდერნული, აპათიური და სეკულარული ევროპა, ქრისტეს ეკლესიებისგან საერთო მოწმეობას ითხოვს. მხოლოდ სახარებისადმი განახლებული ერთგულება, კაცთა მოდგმისადმი დვთის სიყვარულის საიდუმლოს სიღრმისეული გააზრებით – და არა გაცვეთილი გარეგნული ფორმების გამოფიტული სულიერებით – გადავლახავთ ბებერი კონტინენტის სულიერების უდაბნოს, მისი „მარტობის უდაბნოს“. მხოლოდ საერთო ლოცვის, დიალოგისა და თანაშემწეობის წყალობით შევძლებთ უფრო მეტად სარწმუნო გავხადოთ წმიდა სახარება, და ასე, მივუახლოვდეთ ღმერთს და ჩვენს მმებს.

**რა გამოწვევები აქვთ პოსტმოდერნული ეკრანის ქრისტიანებს და როგორი სახე აქვს დღეს ეკუმენიზმს?**

ძირითადი გამოწვევები ეს არის მტკიცე რელიგიური თვითმყოფადობა, ურთიერთშეცნობა და გულგახსნილობა სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა მიმართ. ეკუმენიზმი ცდილობს იქცეს ჯვრის, კაცომოყვარეობის, სულგრძელობის ეკუმენიზმად, სულიერების ეკუმენიზმად. მე არ ვსაუბრობ ტაქტიკურ-დიპლომატიურ ეკუმენიზმზე; ეს უფრო სულიერების საქმიანობაა, თვალსაწიერის შეცვლა და სხვისი თვითმყოფადობის შეცნობაა. ამგვარი ცვლილება მხოლოდ სიყვარული-აღაეს გარდამსახველი ძალით არის შესაძლებელი. ამდენად, ქრისტეს ეკლესიის ძირითადი სულიერი მოვალეობა ეკროპაში არის ის, რომ ჩვენი კონტინენტი თვითკმაყოფილ გარემოდ არ მიიჩნიოს, ქრისტეს ნათლის გარეშე, რაც სხვებს უნდა გადავცეთ, ჩვენის მხრივ კი, ჩვენი ქრისტიანი ძმებიდან მივიღოთ. სულიერი ეკოლუცია შეუძლებელია უსიყვარულოდ. მხოლოდ სიყვარული გაგვათავისუფლებს. და ჩვენ, ქრისტიანებმა სიყვარულსა და კაცომოყვარეობაში უნდა დავამოწმოთ ქრისტე.

**კარდინალ გალტერ ქასპერმა ახლახანს აღნიშნა, რომ რუმინეთი არსებით როლს თამაშობს ეკუმენურ მოძრაობაში. რა დაბრკოლებებს აწყდებით რუმინეთში ეკუმენური დიალოგის კუთხით?**

ვაქტია, რომ რუმინეთში, სხვა ორთოდიოქსულ ქვეყნებთან შედარებით, ეკუმენიზმი უფრო განვითარებულია. რუმინელი ხალხი ტოლერანტია, გულდიაა, საუკუნეები აქ გვერდიგვერდ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ლუთერები, რეფორმატორები, კათოლიკები, და, ასევე, მუსულმანები და ებრაელები. რუმინელები შინაგანად არიან ტოლერანტები, ისინი ხომ აღმოსავლეთის და დასავლეთის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენენ. თუმცა ისიც ცხადია, ერთიანობას გრძელი გზა აქვს გასავლელი. ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ სხვადასხვა პროგრამებით, მოხუცების, უპოვრების, მარტოსული და გატანჯული ხალხის საკეთილდღეოდ. ასე რომ, საერთო ტრადიციისა და ნათლობით ნაზიარები ქრისტეს ნათლის თეოლოგიურ და სულიერ შეცნობაზე უფრო მეტად, ჩვენ შეგვიძლია კაცომოყვარეობის ასპექტი და ძმური სიყვარული გავაძლიეროთ.

**ეკუმენური კუთხით, რა როლი აკისრია დასავლეთში მცხოვრებ მრავალ რუმინელ ემიგრანტებს?**

დაახლოებით მილიონზე მეტი რუმინელი ცხოვრობს იტალიაში და მათი უმრავლესობა ლოცულობს და აღნიშნავნ ლიტურგიას კათოლიკების მიერ გადაცემულ ეკლესიებში. ჩვენ რუმინეთში უკვე ვეღარ გამოვიჩნოთ გულგრილობას დიალოგის მიმართ, მაშინ როდესაც ჩვენი ეკლესიის მრევლი უცხოეთში სხვა ეკლესიის შეწევნით ცხოვრობს. ჩვენ უნდა გავიღეთ იზოლაციიდან, მეტად უნდა ვითანამშრომლოთ, თანაც არ უარვეოთ ჩვენი ორთოდიოქსული თვითმყოფადობა, ვინაიდან თუკი ჩვენს რელიგიურ თვითმყოფადობას დავკარგავთ, მაშინ ვერანაირ წვლილს ვერ შევიტანო ქრისტიანთა ერთიანობის აღმდგენელ მოძრაობაში. უკელას ჭირდება მართლმადიდებლები თავიანთი სულიერი სიმდიდრით, მაგრამ თავის მხრივ, მართლმადიდებლებსაც სჭირდებათ სხვა ქრისტიანთა ორგანიზაციული და მმართველობითი უნარის ათვისება. ჩვენ, რუმინელმა ქრისტიანებმა უნდა გავაცნობიეროთ ის კურთხევა, რაც დმერთმა გვიწყალობა. პაპმა იოანე პავლე II-მ, რუმინეთს „დმრთისმშობლის წალკოტი“ უწოდა, ეს დიდებული ეპითეტია, რაც ამ ქვეყანაში ქრისტიანული სულიერების ხანგრძლივ ისტორიაზე და იმ გამორჩეულ მოწიწებაზე დაგვაფიქრებს, რასაც ოდითგანვე იჩენდნენ რუმინელები დმრთისმშობლის მიმართ; და როგორც ყველა წალკოტში, დიდი

გულისყრით უნდა შევარჩიოთ ყვავილები და მათ შორის გამოვიცნოთ სარეველა. საჭიროა სარწმუნოებაში ჩაღრმავება, დიდი ქრისტიანული ოჯახის გაძლიერება და იმგვარად მოღვაწეობა, რათა დედა უფლისა კი არ დამწუხერდეს რუმინელი მართლმადიდებლების ხედრზე, არამედ სარობდეს.

### რა როდი აკისრია ლოცვას ეკუმენიზმის განხორციელებაში?

პირველ რიგში, ქრისტიანთა ერთობის ლოცვა ვალდებულებას წარმოადგენს. ლოცვის გარეშე შეუძლებელია შერიგება და ვერც ეკლესიებს შორის დოგმატური, თეოლოგიური და საორგანიზაციო წესრიგის კონტრასტები გადაიღახება. მდაბალი გულით წარმოთქმული ლოცვა-ვედრება ადამიანში თავად ლმრთის, სულიწმიდის მყოფობაზე მეტყველებს. ლოცვა არის არა ადამიანური, არამედ ლვთიური საქმე, რამეთუ ღმერთი უსმენს მლოცველ ადამიანს და პასუხს მიაგებს. ამდენად, ქრისტიანთა ერთობის ლოცვა წმიდა მოვალეობა და ვალდებულებაა, როგორც შეგვახსენებს ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის კვირეული. მეორე რიგში, საერთო ლოცვა უსაზღვრო სიხარულია, რადგანაც არსებული განსხვავებების მიღმა, ჩვენ ქრისტიანებს გვაერთიანებს მაცხოვრის, იქსო ქრისტეს, ლმრთისა და ჭეშმარიტი კაცის არსებობა. და ბოლოს, საერთო ლოცვა ერთგვარ მხარდაჭერას წარმოადგენს საერთო საქმეში. ჩვენ ხშირად ვსაჭიროებთ ერთობლივ მუშაობას ადამიანთა ტანჯვის, სიდატაკის, ოჯახური და სოციალური ცხოვრების დეგრადირების წინააღმდეგ; და ეკლესიები უფრო სარწმუნონი იქნებიან თუკი ერთ საქმეში დაშვრებიან. ძალზე ხშირად ვდაობდით, ვკამათობდით და შევიძლეთ ერთურთი, ხოლო ერთიანი ლოცვის, დიალოგის, თანაშემწეობის წყალობით მეტი სიცხადით გადმოვცემთ წმიდა სახარებას, უფრო მეტად დავუახლოვდებით ქრისტეს.

„ჯგრის ეკუმენიზმი“, „გულის ეკუმენიზმი“, – ეს განსაზღვრებები ემატება კლასიკურ განსაზღვრებას „სულიერი ეკუმენიზმი“. ამით ჩანს, რომ ეკუმენიზმი სცილდება ეკლესიათაშორის სუფთა დიპლომატიურ ურთიერთობებს და აისახება საერთო ხალხის, *modus vivendi*-ს თანაზიარებაში. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

- დიახ, ვიზიარებ. უბრალო ხალხისთვის თეოლოგიური დისკუსია ხელმისაწვდომი არაა. თუ ქრისტიანები ერთად მივაგებთ პასუხს უყვლად გადაუდებელ და არსებით პრობლემებს – მხედველობაში მაქს ადამიანთა ტანჯვა, სიკვდილის, სიღარიბის მიმართ დამოკიდებულება – მაშინ, თვით უბრალო ხალხიც, როცა კონტაქტს საქმეებში ასახულ ქრისტიანთა ერთობას და სიყვარულს დაინახავენ, შეძლებენ ეკუმენური მოძრაობის მიღებას. რაც შეეხება დიპლომატურ კავშირებს და ქრისტიანთა ერთობის აღმდგანელ მოძრაობას, მე ვიტყოდი, რომ ეკუმენიზმი, რისთვისაც ამდენს ვიღწვით, სულიერ საქმეს, გულის მოქცევას წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, გულისხმობს თვალსაწიერის შეცვლას და სხვისი თვითმყოფადობის მიღებას. არცთუ იშვიათად, ცრუ შეხეულებათა გამოისობით, სხვისი თვითმყოფადობა დაბურულად და ზედაპირულად აღიქმება. ხშირად ჩვენც ისე გვიყურებენ, როგორც გარდასულ, დიდების ქამში დარჩენილ ეკლესიას, რომელიც უუნაროა აღმოცენებულ პრობლემებთან დაპირისპირებაში.

მაგრამ, როდესაც ადამიანები ურთიერთობენ, ერთურთს ხვდებიან, ეცნობიან სხვადასხვა ტრადიციებს, მაშინ თვითმყოფადობის აღქმაც უფრო ძლიერია, უფრო ფართო და უფრო ნათელია. გამომდინარე აქედან, თუკი ჩვენ მხოლოდ დიპლომატიური სახის ეკუმენიზმით შემოვიფარგლებით, დიალოგმა შეიძლება მარცხი განიცადოს. მორწმუნე ქრისტიანებმა უნდა გაგაღვივოთ სულგრძელობის, თითოეულის მიერ ცოდვათა მონაწილეის ეკუმენიზმი, და

ამავდროულად, სულიერი ცხოვრების წვდომის ეკუმენიზმი. ეკლესიის ერთობა ვერ აიგება არასაიმედო, შემთხვევით საძირკველზე. ძალზე ხშირად კონფლიქტები, – თუნდაც თეოლოგიური – ზედაპირული აზროვნების შედეგია. მხოლოდ წმიდა ტრადიციაში და თეოლოგიაში მუდმივი ჩაღრმავებით, – რასაც ოდესდაც წმიდანები იქმოდნენ, – მივაღწევთ ერთობას. ჩვენ არ ვეძებთ ცალმხრივ ერთობას, სხვადასხვა ნაწილების თავმოყრას. ჩვენ ვეძებთ ჭეშმარიტ სისრულეს, რწმენის სავსეობას, რომელიც ებობა ქრისტეს სამოციქულო ეკლესიას და გაგრძელდა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. ქრისტეს ეკლესიის სისრულე ჩაღრმავების საფუძვლად გვებოდა. ჩვენ არ უნდა დავუპირისპირდეთ ერთმანეთს, არამედ ერთობლივად ჩავუდრმავდეთ სახარების სულიერების აზრს, და მეტადრე, ღვთის სიყვარულის და სიწმიდის აზრს. რამეთუ ღმრთის სიყვარული ყველა ადამიანს ებობა, და არა მხოლოდ მართლმადიდებლებს ან რუმინელებს. ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ აზროვნების და ხედვის ჩვენეული გზები. თუკი წმიდა მოციქული პავლე აცხადის: „ჩვენ კი გვაქს ქრისტეს აზრი“ და თუ მაცხოვარს ყველა უყვარს, მაშინ ჩვენც სხვა რა დაგვრჩენია თუ არა ქრისტეს აზრი გვქონდეს.

კლაუდია სტანილა

### „ილოცეთ განუწყვეტლივ“ (I თეს. 5,17)

ყოველი იანვარი განსაკუთრებულია, იმ ქრისტიანებისათვის რომლებსაც აწუხებთ ეკლესიის გათიშულობა და ცდილიბენ თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ განყოფილი ეკლესიის აღდგენაში. ეკლესიის ერთიანობას პირველივე საუკუნეებიდანვე ემუქრებოდნენ სხვადასხვა ჯურის ერეტიკოსები, თუმცა ეკლესიის მამათა მცდელობით ერთიანობა მრავალგზის იქნა შენარჩუნებული და განხეთქილების მცდელობა უკუგდებული, რაოდენ სამწუხაროა, რომ ეკლესიის განყოფა არა თეოლოგიური სწავლებების გამო, არამედ ბიზანტიელთა ამბიციებს შეეწირა, ისევე როგორც, ბიზანტიელთა ამბიციების გამო ერთიან ქრისტიანულ ეკლესიას მოსწყდა სომხეური სამოციქულო ეკლესია (ასეთია თავად სომეხთა შეხედულება ბერძნებთან განხეთქილებასთან დაკავშირებით).

ეკლესიის განხეთქილებაში ყველაზე მეტი „წვლილი“ არა იმდენად ბიზანტიელება, არამედ ჩრდილო ევროპელმა მონარქებმა შეიტანეს. თვით რეფორმაციისა და პროტესტანტიზმის მამად მიჩნეული მდვრელი და თეოლოგიის დოქტორი მარტინ ლუთერი სრულიადაც არ ფიქრობდა ახალი, დამოუკიდებელი ეკლესიის (დენომენაციის) შექმნას, მას უბრალოდ გარეგნული რეფორმების შეტანა სურდა ეკლესიის ორგანიზაციაში, მაგრამ პოლიტიკოსებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს ურჩი დოქტორი და უკვე მისი სიცოცხლის შემდეგ გერმანიაში ლუთერული ეკლესია აღმოცენდა. შემდგომ საუკუნეებში პროტესტანტული მიმდინარეობის ათეულობით დენომენაცია წარმოიქმნა და ზოგიერთი მათგანი იმდენად დაშორდა თავდაპირველ ქრისტიანულ სწავლებებს, რომ თავადაც ვერ გაურკვევიათ რა სწამო და რა არა.

ზუსტად 100 წლის წინ ანგლიკანმა მდვრელმა მ. პოლ ვატსონმა, რომელსაც ჭეშმარიტად აწუხებდა ქრისტიანთა გათიშულობა, საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის კვირეულს. მამა პოლი შემდგომ კათოლიკე გახდა და 1909 წლიდან კათოლიკე ეკლესიამ პაპ პიუს IX-ეს კურთხევით დააკანონა ყოველი წლის 18-დან 25 იანვრის ჩათვლით ქრისტიანთა ერთობისათვის საყოველოა ლოცვის კვირეული.

1968 წლიდან (ეს თარიღიც საიუბილეოა), მ. პოლ ვატსონის თაოსნობით ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვის მონაწილეებს დაურუბდათ კათოლიკე ეკლესიისა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ ერთობლივად მომზადებული ლოცვის ტექსტი.

საბჭოთა დიქტატის დროს, როდესაც ყოველგვარი რელიგიური ინიციატივები იზღუდებოდა, საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 18-25 იანვარს თბილისის წმ. მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახ. ტაძარში (იმხანად მთელს კავკასიაში სხვა არც-ერთი კათოლიკე ტაძარი არ ფუნქციონირებდა), ადევლინებოდა ქრისტიანთა ერთობისათვის მოწოდებული ლოცვები, თუმცა ამ ლოცვათა კვირეულში არ იღებდნენ მონაწილეობას სხვა კონფესიათა წარმომადგენლები და ფართო საზოგადოებისათვის საერთოდ უცნობი იყო ამ კვირეულის არსიც და არსებობაც.

გასული საუკუნის 90-ანი წლების ბოლოდან ქრისტიანთა ერთობისათვის მიძღვნილი ლოცვის კვირეული უკვე ფართო მასშტაბით აღინიშნება. მის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ ქრისტიანთა სამუშაო ჯგუფის წევრი ეკლესიები: რომის კათოლიკე სამოციქულო ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია, ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია და ევანგელიურ-ბაპტისტური ეკლესია. ყოველწლიურად ერთიანობის ლოცვას მორიგეობით მასპინძლობენ ქრისტიანთა სამუშაო ჯგუფში გაერთიანებული ეკლესიები.

ერთიანობის ლოცვებში მინაწილეობას იღებენ მართლმადიდებელი სასულიერო პირებიც, თუმცა ეს მათი პიროვნული თანამონაწილეობაა, თვალ საქართველოს სამოციქული ეკლესია ოფიციალურად არ მონაწილეობს ამ ლოცვებში. ერთიანობის ლოცვებს ქართული საზოგადოების, სახელისუფლო მოხელეები, არასამთავრო ორგანიზაციები, პრესის მუშაკებიც ესწრებოდნენ. ინფორმაცია ლოცვის შესახებ შუქდებოდა ქართული სატელევიზიო არხების საშუალებით, თუმცა საკმაოდ მოკრძალებულად.

ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვებს მოწინააღმდეგებიც ჰყავდა, ზოგი რელიგიური რადიკალ-ექსტრემისტის სახით, ამ შვიდიოდე წლის წინ ექსტრემისტთა დიდმა ჯგუფმა ბლოკირება გაუკეთა ერთიანობის ლოცვის დასკვნით შეხვედრას, რომელიც იმ წლს თბილისის ევანგელიურ-ბაპტისტური ეკლესიის კათედრალში უნდა გამართულიყო. ექსტრემისტებმა სამართალდამცველთა გულგრილობით ისარგებლეს და პირდაპირ ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს ერთიანობის ლოცვის მასპინძლებს. ქვებითა და ხელჯოხებით სხეულის დაზიანება მიიღეს ბაპტისტური ეკლესიის მრევლის წევრებმა, მათ შორის, ქალებმა. ქნა ლელა ქართველიშვილმა რომელმაც სერიოზული დაზიანებები მიიღო ამ თავდასხმის დროს შესძლო ფირზე აღებეჭდა და შემდგომ ფართო საზოგადოებისათვის ეჩვენებინა ის საშინელება რაც მაშინ გადაიტანეს ბაპტისტური ეკლესიის ეზოსა და სახურავზე ალყაში მოქცეულმა მორწმუნებმა, რომლებიც სხვა მორწმუნეთაგან დაუნდობელ იერიშს იგერიებდნენ ქრისტიანთა ერთობის სურვილით აღვსილები. ამ ვანდალურმა დარბევამ ფართო რეზონანსი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ისეთი პროტესტი გამოითქვა, რომ მაშინდელი პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრთან და ამაღასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ერთი კვირის ინტერვალით დანიშნულ ერთიანობის ლოცვაში, რომელიც ბაპტისტურ კათედრალში აღევლინა.

ვარდების რევოლუცის შემდეგ ქრისტიანთა ერთობისადმი მიძღვნილ ლოცვებს სისტემატურად სტუმრობდნენ, მინისტრები, პარლამენტარები, არასამთავრობო ორგანიზაციათა სახელგანთქმული ლიდერები. ამ მხრივ წლევანდელი ლოცვა ყველაზე მოკრძალებულად ჩატარდა. ბოლო თვეების პოლიტიკურმა ვითარებამ სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები დაყენა დღის წერიგში.

წლევანდელ საიუბილეო კვირეულზე ლოცვის ტექსტი კათოლიკე, ბაპტისტური, სომხური, ლუთერული ეკლესიების წარმომადგენელთა თანამშრომლობით, კათოლიკე ეკლესიის ქრისტიანთა ერთიანობის სამდივნოსა და ეკლესიათა ეპუმენური საბჭოს რწმენისა და კონსტიტუციის კომისიასთან ერთად მომზადდა. ლოცვის ტექსტი თესალონიკელთა წერილიდან მომზადდა, „ილოცეთ განუწყვეტლივ“ ეს სიტყვები რეფრენად გასძევდა მსახურერბას, რომელიც ქართულ, ასირიულ, სომხურ, გერმანულ ენებზე აღევლინებოდა. მსახურერბის მსვლელობისას ტაძარში შეკრებილ 200-მდე მორწმუნე ქრისტიანს შთამბეჭდავი ქადაგებით მიმართა მაღალყოვლადუსამდვდელოესმა, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ოთხი კათედრალის მგალობელთა გუნდები, რომლებიც სხვადასხვა ენებზე აუდერებდნენ საგალობლებს. მსახურების დასასრულს ლოცვაში მონაწილე მღვდელმსახურებმა და მორწმუნებმა საეკლესიო კანდელიდან აანთეს სანთლები, და ერთად წაიკითხეს ქრისტიანთა ერთიანობის ვალდებულება.

მსახურების ბოლოს ყველა მონაწილეს დაურუბდა ფურცელი, რომელშიც ყველა მსურველს შეეძლო ჩაეწერა თავისი ვინაობა და დაეფიქსირებინა მზაობა მომავალშიც მიიღოს მონაწილეობა ქრისტიანთა ერთიანობისათვის მიმართულ აქტიობებში.

და ბოლოს, დასკვნის მაგიერ წერილს ვამთავრებ ჟორნალ „საბას“ ა.წ. თებერვლის ნომერში ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვის საუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ მამა გაბრიელე ბრაგანტინის სტატიის ფრაგმენტით, რომელიც ჩემი აზრით ყველაზე უკეთ გამოხატავს ერთიანობისადმი მიძღვნილი ლოცვის კვირეულების არსეს. „მათ გასაგონად, ვინც ხშირად ამბობს, რომ ცოდვაა სხვადასხვა ეკლესიების ქრისტიანთა ერთად ლოცვა, მინდა განვაცხადო, რომ ცოდვაა არა ის, რომ ერთად ვილოცებთ, არამედ ის რომ არ ვილოცულობთ“. და მართლაც რომელი ჯობია ერთად ვილოცოდ თუ საერთოდ არ ვილოცოდ, ამის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია.

ნუგზარ ბარდაველიძე

### **ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიძღვნილი ლოცვის კვირეული ვალეში**

უკვე ასი წელია, რაც მსოფლიოს ყველა ქრისტიანი 18-25 იანვარს ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვას ადავლენს. ათიოდე წლის წინ საქართველოს ქრისტიანებიც შეუერთდნენ ლოცვის კვირეულს და დიდი ენთუზიაზმით აღასრულებენ ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიძღვნილ ლოცვებს.

საქართველოს კათოლიკურ საკრებულოებიც ყოველთვის ერთსულოვნად უერთდება ლოცვის კვირეულს. ასე იყო 2008 წლის იანვარშიც.

23 იანვარს გალეს კათოლიკურ ეკლესიაში შეიკრიბა მესხეთის რეგიონის ყველა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენელი, კერძოდ: ახალციხის სომხური სამოციქულო ეკლესიის წინამდღვარი, მამა მანუკ ზეინალიანი; ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის დიაკონი სასუნ მარგარიანი; სომხური წესის კათოლიკე ეკლესიის წინამდღვარი სოფ. წინაუბანში, მამა პოლოს გრიგორიანი; არალის კათოლიკე ეკლესიის წინამდღვარი, მამა იუჟი შიმეროვსკი; ვალეს ეკლესიის წინამდღვრები, მამა მაჩეი მამაი და მამა ზურაბ კაკაჩაშვილი, აგრეთვე ბევრი სტუმარი არალიდან, უდედან, ახალციხიდან.

ლოცვას, რომელიც სულიწმიდის მოხმობით დაიწყო, მამა ზურაბი უძღვებოდა. საკითხავები წაიკითხეს როგორც ქართულ, ისე სომხურ ენებზე. ლოცვა უმშვენიერესი გალობების თანხლებით მიმდინარეობდა.

ყველაზე ამაღლვებელი მოქანდაკი კი სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული „მამაო ჩვენო“ იყო. ყველა თავის ენაზე ევედრებოდა დმერთს და ქრისტიანთა ერთობას შესთხოვდა.

ლოცვა საზეიმო სადილით დასრულდა.

ვიმედოვნებოთ, რომ მომავალ ეპუმენურ ლოცვას ჩვენი მმები, მართლმადიდებლებიც ჩვენთან ერთად გაიზიარებენ.

თამრიკო ჩიტაშვილი

მკითხველები გვწერენ

ნათელი ბნელშიც ანათებს

თებერვლის თვეში რუსთავი 2-ის შუადღის საინფორმაციო გამოშვებაში ერთი მოკლე სიუჟეტი გავიდა, რომელმაც საღამოს საინფორმაციო გამოშვებამდე ვეღარ მიაღწია, მაგრამ ჩემი გაოცება გამოიწვია. მეორე დღეს კი აღმოვაჩინე, რომ ამ სიუჟეტს არც სხვები დაეტოვებინა გულგრილი. სიუჟეტი კი ერთი შეხედვით არაფერ ისეთ ინფორმაციას არ შეიცავდა და მოზარდების ნახატების გამოფენის გახსნის შესახებ გაგარიცხდა მცირე სიუჟეტს., მაგრამ ერთის შეხედვით ბანალური მოვლენის უკან საკმაოდ შორს გამიზნული აქცია ილანდებოდა. დიას არაფრით გამორჩეული სიუჟეტი იქნებოდა პროვინციული სკოლის ნორჩ მხატვართა ცხოვრებიდან, რომ არა ის გარემოებათა ერთობლიობა რომელიც აქტიურ ფონად გასდევდა სატელევიზიო სიუჟეტს: სოფელ არალის სკოლის მოსწავლე მოყვარულ მხატვართა გამოფენას რაიონის ან რეგიონის ცენტრი კი არა ქვეყნის დედაქალაქი მასპინძლობდა, სადაც მართლაც მრავალი ნიჭიერი ნორჩი მხატვარია, მაგრამ მათი გამოფენების მოწყობითა და ელექტრონული მედიით გაშუქებაზე რაღაც არავინ ინტერესდება. ეს კიდევ არაფერი, სოფელ არალის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას არა ის საგამოფენო გალერეები მასპინძლობდნენ სადაც წესით და რიგით უნდა ტარდებოდეს მსგავსი ექსპოზიციები, არამედ არც მეტი და არც ნაკლები, შერატონ მეტები პალასის ჰოლი, სადაც ექსპოზიციის მოწყობა სახელოვანი მხატვრებისთვისაც, რბილად რომ ვთქვად, ნატგრის ზღვარზეა.

ტელემაყურებელი ძალზე რომ არ გაეოცებონათ, გამოფენის ორგანიზატორებმა ერთი მცირე ეშმაკობა იხმარეს, ექსპოზიცია ადიგენის რაიონის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენად მონათლეს, თორემ კამერის წინ არლელი მოსწავლეები და ამ სოფლის მდვდელი (რომელიც ამ გამოფენის ინიციატორიც გახდავთ) იწონებდნენ თავს. ეს კიდევ არაფერი, გამოფენა თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც მოინახული და თბილი სიტყვებითაც შეაქმ მისი მონაწილეები.

მართადი გითხრად ძალზე გამახარა არლელ მოსწავლეთა წარმატებებმ, ოდონდ გული დამწყვიტა იმ კომენტარებმა, რომელიც თან ახლდა გამოფენის გახსნასაც და შემდგომ კვირის პალიტრაში გამოქვეყნებულ წერილსაც. კომენტარი კი ასეთი გახლდათ, რომ არალი დიდი ხნის გარეშე სულიერების გარეშე იყო დარჩენილი და ახლა გამოსწორდა საქმეო. რა ვქნა ნურავინ ნუ მიწყენთ და არისტოტელეს ფრთვანი ფრაზის არ იყოს ძალიან ძვირფასია ჩემთვის უველა მართლმადიდებელი მოძღვარი, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მეტი მეგობარია. რომ არალში სულიერება არ იყო მართლმადიდებელი მდვდლის ჩასვლამდე,

რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელია. დაბეჭითებით ვამბობდი და უოველოვისაც დავიცავ ჩემს აზრს (მიუხედავად ზოგი ჩემი უდელი მეგობრის ქილიკისა), რომ საბჭოური რეჟიმის პერიოდში, როდესაც მოსახლეობა თავის ქრისტიანობას მხოლოდ სააღდგომო სუფრებზე თუ ახსენებდა, ხოლო ზოგიერთის ცინიზმი იქამდე მიდიოდა, რომ ანაფორიანი მდვდლის დანახვაზე გვერდით სამჯერ აფურთხებდნენ, სოფელ არალში ხალხი ხელისუფლებისგან ფარულად პატრიობდა სამლოცველოს, სისტემატიურად ქალბატონებიცა და მამაკაცებიც, მოზარდებიცა და მოხუცებიც სავარდის ლოცვებს ასრულებდნენ და ერთმანეთს სარწმუნოების პირველ დაწყებით ცოდნას უწილადებდნენ. მიუხედავად ხელისუფალთა მხრიდან ხელის შემლისა სწორედ არლელებმა მოახერხეს საბჭოთა პერიოდში თავიანთი ეკლესიის ოფიციალური რეგისტრაცია, რაც იმხანად ნამდვილად გმირობა იყო და რაც 6 მილიონიანმა უკრაინელ

კათოლიკე-უნიატთა მრევლმა ვერ შესძლო. არლელმა მორწმუნებდა შესძლეს თავიანთი ტაძრის შენარჩუნება შემდეგაც, როდესაც მათზე სხვა სახის ზეწოლა და ცდუნება ხორციელდებოდა. ვერ ვიტყვი რომ სულიერების დეფიციტის პირობებში ეს განხორციელებულიყო. XIX და XX საუკუნეებშიც მრავალი არლელი სასულიერო პირი თუ მეცნიერი მოღვაწეოდა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარრეთაც (მათი სახელობითი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს) და სულიერების გარეშე ამ ადამიანების თავგანწირვა წარმოუდგენელი იქნებოდა. მღვდელი ემანუელ ვარდიძე ექვსჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ, მაგრამ მისი გატეხვა ვერ შესძლეს. სულიერების გარეშე ესეც წარმოუდგენელია. საინტერესოა თუ მოიყვანენ არლის მეზობელი სოფლების მკვიდრნი მღვდლების მსგავსი თავდადების მაგალითებს. ასე, რომ დარწმუნებული ვარ და ვფიქრობ არლელებიც ასევე დარწმუნებული არიან რომ მათ წინაპრებს ზექმარი სულიერებაც კი გააჩნდათ, როდესაც ოსმალების დროსაც, რუსეთის ცარიზმისა და მეზობელი ეთნისის წარმომადგენლების სულიერი ექსპანსიის დროსაც, ბოლშევკიზმის დიქტატის პერიოდშიც მათ სულიერება ყოველთვის გააჩნდათ და სხვებსაც სულიარებისა ეკლესიურობის სასიქადულო მაგალითს აძლევდნენ. და ახლანდელი განცხადები, რომ არლელებმა სულიერება დაიბრუნეს, ვფიქრობ შეურაცხმულფელია მათი სულებისა, ვინც თავს წირავდა ქრისტიანობას მესხეთის ამ განაპირა სოფელში. კითხავა მიჩნდება მოუწყობდა კი ვინმე არლელ მოსწავლეებს მათი ნახატების გამოფენას შერატონში ისინი რომ კათოლიკები ყოფილიოყვნენ? რამდენადაც ვიცი, სამხატვრო გამოფენები რელიგიური მიკუთვნების მიხედვით არ ეწყობა და არც მოსწავლეთა სტიმულირება ეთიკური კონფესიურობის მიხედვით. სხვა კონფესიის წარმომადგენელს მსგავსი საქციელი, რომ ჩაედინა შეფასდებოდა ეს საქციელი პროზელიტიზმად თუ არა?

არლელებს, ისევე როგორც ყოველ მოქალაქეს საქართველოში აქვს სრული უფლება აღიაროს ნებისმიერი რელიგია, ან არ აღიაროს არცერთი ეს ყველად კონსტიტუციური უფლებაა, და აღმსარებლობის მიხედვით ვინმეს გამორჩევა კი უკვე არაკონსტიტუციურია. არც რომელიმე აღმსარებლობას გააჩნია უპირატესობა მეორეზე. ადამიანი ან არის მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული და ან არა, ამაში კონფერსიურობა ან ეროვნება რაიმე გადამწყვეტ როლს რომ თამაშობდეს, მაშინ მსოფლიოში კათოლიკე იტალიელი მხატვრების (და არა მხოლოდ მხატვრების) გარდა სხვა ხელოვანი არ იქნებოდა.

არლელებო, ეს თქვენი გადასწყვეტია რომელ ეკლესიაში ივლით, მთავარია რწმენით იაროთ და არა პრაგმატულ-კონიუნქტურული მოსაზრებებით, ასე პოლიტიკურ პარტიებში ერთიანდებიან, ასევე მრავალ წარმატრებას გისურვებთ ყველა სფეროში. თქვენი სოფლის მიმართ გულგრილი არასოდეს კუოფილოვარ, რაც ამ 22 წლის წინ პირველად ვიხილე თქვენი სოფლების გულმხურვალე ლოცვები პატარა ნახევრადლებალურ სამლოცველოში. მანამდე მე ვერც კი წარმომედგინა რომ საქართველოში ასე მასობრივად, რეპრესიის შიშის მიუხედავად, ადამიანები საკუთარი ინიციატივით (და არა სასულიერო პირის დაჟინებით, როგორადაც საერთოდ ხდება ხოლმე), იკრიბებოდნენ ერთ საკრებულოში მსგავსად პირველი საუკუნეების ქრისტიანებისა. ამ ფაქტმა უდუდესი სტიმული მისცა ჩემს რწმენას და ყოველთვის მამხნევებდა. არალი იქცა ჩემთვის ქრისტიანული რწმენის სიმბოლოდ და ამიტომ გთხოვთ ნურავის ათქმევინებთ, რომ არალში საუკუნეების განმავლობაში არ სუფევდა სულიერება და მხოლოდ ბოლო წლებში იკიდებს იგი ვეხს. ჩემთვის არალი ყოველთვის რჩებოდა ქრისტიანული რწმენის ურყეობის სიმბოლოდ და ვფიქრობ ასევე უნდა იყოს თქვენთვისაც.

ნუგზარ ბარდაველიძე

**მშვიდობის, ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების საღამო ბათუმში**  
2008 წლიოს 30 იანვარს, დაბა მახინჯაურში, რესტორან „მეგრულ-ლაზურში“  
გაიმართა საღამო, რომელიც ხალხთა შორის საერთო ღირებულებებისა და  
ურთიერთგაგების განმტკიცებისადმი იყო მიძღვნილი. საღამო ორგანიზებული  
იყო შ.კ.ს. „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის  
სახელობის კერძო კოლეჯის“ ქ. ბათუმის ფილიალის „რ. შაჰინის სახელობის  
სკოლა-ლიცეუმისა“ და „საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი  
საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდის“ მიერ.

საღამოზე მიწვეულ იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი  
საბჭოს წევრები, განათლებისა და კულტურის ხელმძღვანელი პირები,  
მინისტრები, რელიგიური გაერთიანებებისა და სამოქალაქო საზოგადოების  
წარმომადგენლები.

საღამოს დაიტომოტივად გასდევდა მშვიდობის, ტოლერანტობისა და  
ურთიერთგაგების თემა.

ღონისძიება გაიხსნა ფილმით. ნაჩვენები იქნა „ჩაღლარის“ მიერ საქართველოში  
საგანმანათლებლო კერების გახსნის, მათში სასწავლო პროცესების  
მიმდინარეობისა და და მათი საქმიანობის ამსახველი ფილმი.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა „ჩაღლარის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი  
აიპან არსებანი. მან ისაუბრა ტოლერანტობის შესახებ და დასასრულ აღნიშნა,  
რომ ყველაფრის საწყისი სიყვარულია და ყოველივე მისით ცოცხლობს.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ  
მახარაძე. მან ისაუბრა ორ მეზობელ ერს შორის მეგობრობაზე და აღნიშნა,  
რომ სიყვარული ყოველგვარ საზღვრებს გადალახავს და შლის.

„ჩაღლარის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, მურად სუნგუმ ისაუბრა 15 წლის  
მანძილზე (1993 წლიდან დღემდე) მათი დაწესებულების საქართველოში  
მოღვაწეობის შესახებ.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ალექსანდრე  
ჩიკვაიძემ ისაუბრა ქ. ბათუმის „რ. შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“  
ტრადიციებსა და პერსპექტივებზე.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ნ. წიკლაშვილმა და  
ჯანმრთელობის მინისტრმა მევანაძემ ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის  
ეკონომიკისა და ჯანმრთელობის სფეროებში თანამშრომლობაზე.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმენ ბათუმში თურქეთის რესპუბლიკის  
კონსულის მოადგილე მურად სუნგუ, ქ. რიზეს უნივერსიტეტის რექტორი ნაზმი  
თურან ოქუმუშოდლუ და ბათუმის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი სანდრო ლაშხი. დასასრულ გაიმართა კონცერტი „რ. შაჰინის  
სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ მოსწავლეთა მონაწილეობით. მათ შეასრულეს  
სიმღერები ინგლისურ, ქართულ და თურქულ ენებზე. საღამომ უაღრესად თბილ  
და მეგობრულ კითარებაში ჩაიარა.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

#### ისტორიის ფურცლები

### **კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში აღმოჩენილ სახელმძღვანელოთა გამო**

ცნობილია საზღვარგარეთის ქართულ სავანეთა დიდი მნიშვნელობა  
ქართული კულტურისა და სულიერების განვითარების საქმეში. მათ შორის ერთ-

ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ქართველ კათოლიკეთა მონასტერს.

სტამბოლში ქართული მონასტრის, სემინარიისა და ქართული სტამბის გახსნა აბატ პეტრე ხარისჭირაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. აი, რას წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1887 წლის 17 იანვარს: „ამ საქმის სულისხამდგმელი იყო ახალციხელი პატრი, მამა პეტრე ხარისჭირაშვილი, ქართველ კათოლიკეთა მხესნელად მოვლენილი, „მეორე მათე“, რომელმაც ქართული კულტურისათვის დაუჯერებლად ბევრი რამ გააკეთა“. ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებმა ქართველ კათოლიკეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა მრევლმა შეინარჩუნა ენა, საკუთარი გვარ-ტომობა. ქართველ კათოლიკეთა და არა მარტო მათ შორის ქართული კულტურისა და შეგნების შენარჩუნებაში განუზომელი ღვაწლი მიუძღვის აბატ პეტრე ხარისჭირაშვილს, მიხეილ თამარაშვილს, იოსებ ხუციშვილს, ივანე გვარამაძესა და სხვა კათოლიკე სულიერ მოძღვრებს. 1902 წელს თბილისში დაბეჭდილ მდგდელ მიხეილ თამარაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომს „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ „მეორე ქართლის ცხოვრება“ უწოდა. მონასტერთან არსებულ სკოლაში ყოველი ქართველი, განუზოვლად აღმსარებლობისა, იღებდა განათლებას მშობლიურ ენაზე. პატრი ალექსანდრე ახალციხეში ივანე გვარამაძეს ატყობინებდა, რომ „ვასწავლი სხვათა მოსწავლეთა შორის მაჰმადიანთაც, რომელიც ქართული წიგნისათვის ყელს იჭრიან. არა მარტო მოწაფენი ეტრფიან ქართული წერა-კითხვის რიგიან შესწავლას, არამედ პასაკს მიწვნილნიც, მოსხეპილნი ვაჟკაცნიცა დიდ სახელად სთვლიან ქართულის შესწავლასა... რა დიდი რამ იქნება, რომ ჩვენ გაბნეულ ტომს – აჭარლებს, მესხებს და მისთანა შევეწივნოთ და დავიკავშიროდ ღვიძლ მებად პირვანდელსავით“.

დიდია ქართველ კათოლიკე მოძღვართა წვლილი, რომ სტამბოლში თუ მის ირგვლივ მცხოვრები ჩვენებურები დღეს მშობლიურ ენაზე მეტყველებენ და ქართულ კულტურას არიან ნაზიარებნი.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართველ კათოლიკეთა თემას ტაბუ ჰქონდა დადებული. ფართო მასებისათვის „ქართველი კათოლიკის“ ცნება გაუგებარი რჩებოდა, ხშირად ვიღაცის და რაღაცის გამო გვერდს უვლიდნენ ამ თემას, ზოგჯერ კი ხდებოდა ფაქტების გაყალბებაც. 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში პროფესორ შოთა ლომსაძის შესანიშნავმა სამეცნიერო შრომებმა: „მესხეთ-ჯავახეთი“, „ახალციხეური ქრონიკები“, „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი“, „მესხები“ საზოგადოებას გააცნო ქართველი კათოლიკების ცხოვრება და მათი ბრძოლის ისტორია ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად. ცხადია, ეს არ არის საკმარისი. სტამბოლში მოღვაწე ქართველმა კათოლიკებმა დიდი კულტურული მემკვიდრეობა დატოვეს, რომელიც ფუნდამენტურ შესწავლას მოითხოვს.

მონასტერთან არსებულ სტამბაში, რომლის დირექტორიც ანგონ გოზალიშვილი იყო, მრავალი წიგნი დაიბეჭდა ქართულად. მათ შორისაა „მოკლე რიტორიკა, გინა მჭერმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა“, 1879 წ. და „მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა“, 1880 წ. ორივე ეს წიგნი პირველად დაიწერა და გამოქვენდა ქართულ ენაზე. სამწუხაროდ, წიგნებზე ავტორთა ვინაობა არ არის მითითებული. ეს წიგნები 1996 წელს მონასტრის ბიბლიოთეკაში კატალოგის შედგენაზე მუშაობისას აღმოაჩინა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის დოცენტმა გულიკო შერვაშიძემ. მან მოახერხა „მოკლე ფილოსოფიის“ ქსეროასლის გადაღება და მას ნაშრომი მიუძღვნა. ეს წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ფილოსოფიაში, რომელშიც ერთად არის თავმოყრილი ფსიქოლოგიის, უთიკის, ლოგიკის, ბუნებითი დმრთისმეტყველების საკითხები. წიგნი ევროპული

სკოლების სახელმძღვანელოების საფუძველზეა გაკეთებული. კონსტანტინოპოლიში მცხოვრები ქართველი კათოლიკები ევროპული განათლების სისტემის არეალში იმყოფებოდნენ. უცხო მხარეში მყოფი ქართველობა უპირატესობას ანიჭებდა განათლების მიღებას მშობლიურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოში ცარიზმის მოხელეების მიერ იდევნებოდა ქართული ენა და ქართველ ახალგაზრდებს აკრძალული პქონდათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება.

სახელმძღვანელოები დაწერილია XIX საუკუნის დამახასიათებელი ქართულით და შეიმჩნევა მესხური დიალექტის გავლენა. რიტორიკის წინასიტყვაში ნათქვამია, რომ „დღემდენ არ ყოფილა რიგიანი ხელად სახმარი მჭერმეტყველების წიგნი ჩვენს დედაქნაზედა; ამისათვის შევუდექით ამხელა სახმარი მჭერმეტყველების გამოცემას. შრომასა და სწავლულ პირთა მიბაძვით გამოვტკრიბეთ ძველი ქართული ადგილებთაგან სახმარი მაგალითები, რაც შეიძლებოდა, რაც არა და გადმოვიდეთ ქართულად, როგორც ოქროპირისა და რომაელთ მწერლებისა ადგილები, რათა სასარგებლოდ დაუშთვეს საზოგადოებასა“. რიტორიკის სახელმძღვანელოს ავტორი აღნიშნავს, რომ კაცი ყოველთვის უნდა დაეყრდნოს საკუთარი ენის სიმდიდრეს, მის მარაგს, ვინაიდან ნებისმიერი ლიტერატურის და ნაწარმოების წყაროს ყოველთვის მშობლიური ენის წიაღი უნდა წარმოადგენდეს. რიტორიკისათვის აუცილებელ ატრიბუტად არის გამოცხადებული მწერლის პოზიციის გარკვევის საკითხი. ავტორს მიაჩნია, რომ „მოთხოვობის მწერალს არ უნდა ჰქონდეს შეთვისობა, მომხოვბა გინა მხარის დაჭერა ვისიმე“. იგი უნდა იყოს მართალი და მიუკერძოებელი, სინამდვილის რეალურად ამსახველი და მისი კალამი ვიდაცის ინტერესებს არ უნდა ემსახურებოდეს.

„მოკლე ფილოსოფიის“ ავტორი ფილოსოფიას „სიბრძნის მოყვარეობას“ უწოდებს, ხოლო საგნის უმთავრეს მიზნად სამყაროს მიზეზთა დადგენა მიაჩნია. ავტორი წერს, რომ ფილოსოფია ეხმარება და ასწავლის ყოველი დარგის მეცნიერს განსჯას, მოვლენათა განსაზღვრას და ამ მოვლენებისათვის ზეობრივი კრიტერიუმების მოქმედნას. ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემები, – მიუთითებს ავტორი, ფილოსოფიას ოთხ ნაწილად ჰყოფს. ეს არის ფსიქოლოგია, ლოგიკა, ზნეობა ანუ ეთიკა და ბუნებით ლმრთისმეტყველება. ავტორი აღნიშნავს, რომ ფილოსოფიის ეს მოკლე სახელმძღვანელო ამ პრინციპებით არის შედგენილი და მიუთითებს, რომ იგი ეყრდნობა პლატონის, არისტოტელების, წმ. ავგუსტინეს და წმ. თომა აკვინელის ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომლებიც შეგანილია მოცემულ სახელმძღვანელოში.

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი – ფსიქოლოგია, განიხილავს სულის მოქმედებებს და მის სხვადასხვა მდგომარეობებს. მეორე ნაწილს – ლოგიკას, საფუძვლად უდევს რომის კათოლიკე ეკლესიის მიერ გადამუშავებული არისტოტელების და წმ. თომა აკვინელის შრომები.

ქრისტიანული სწავლება „ნუ უზამ სხვას იმ რამეს, რაც არ გინდა, რომ სხვათა გიყონ შენ“ მეორე ნაწილის – ლოგიკის მთავარი დევიზია. მესამე ნაწილი ეძღვნება ბუნებით ლმრთისმეტყველებას (თეოდიცეა). ავტორი ამ ნაწილში ძირითადად ეყრდნობა წმ. თომა აკვინელის მოქმედებას. ამ თავში ავტორი სხინის ლმერთის უმთავრეს თვისებას, ადამიანის დამოკიდებულებას ლმრთის შეცნობასთან და მიღის უმთავრეს დასკვნამდე: „ლმრთის დაკარგვით მოუნანიებელი ცოდვილი დაჭკარგავს ყოვლად მაღალსა კეთილსა“.

„მოკლე ფილოსოფიის“ ეძღვნება ზნეობის საკითხების გაშუქებას, „...ნაწილი ფილოსოფიისა, რომელიც ასწავლის კაცს კეთილად ცხოვრებას და კეთილად მოქმედებას...“

ორთავე სახელმძღვანელოში მრავალი ასეთი იდეა და ღირებულებაა, რომელმაც ჩვენთან საშინელი დევალგაცია განიცადა და გაუფერულდა. არადა,

დღევანდელი გადასახედიდან მათი მოხმობა და ადგილის მიჩნა ნამდვილად დიდი საქმე იქნება.

უცნობი ქართველი კათოლიკე ბერების მიერ შედგენილი ეს სახელმძღვანელოები მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი საზოგადოებისათვის.

**P.S.** წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც 4 ნოემბრის „კვირის პალიტრის“ ხომერში წავიკითხე პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის პასუხი კითხვაზე: ეამბოთ სტამბულის ქართული სავანის შესახებ. პასუხიდან გავიგზო რომ მიმდინარეობს თანამშრომლობა სავანის ბაზაზე ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობის საერთაშორისო ცენტრის ჩამოყალიბებისათვის და რომ, ქართველი და თურქი მეცნიერები კომპლექსურად შეისწავლიან სავანეში დაცულ მასალებს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ცუდი, მაგრამ არსად ჩას საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესიის დაინტერესება ამ მხრივ.

გასაგებია, რომ სავანე და ეკლესია ტერიტორიულად თურქეთშია და იქაურ ეპარქიას ექვემდებარება, მაგრამ ის ქართველი ბერ-მონაზვნების და ქართველი კათოლიკების მიერ არის შექმნილი, რომელთაც ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან და მათი სურვილი და ანდერძი იყო, რომ ყოველივე იმის მემკვიდრე, რაც თავდაუზოგავი შრომითა და რუდუნებით შექმნათ, ქართველი კათოლიკები ყოფილიყვნენ.

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში არაკეთილმოსურნები გამოუჩნდნენ კათოლიკე ეკლესიას, როდესაც ზოგიერთი კათოლიკეს „გადანათვლა“ ხდება მათი უცოდინარობის, დაბხულობის, გაორების გამო, ვფიქრობ, რომ უნდა ამაღლდეს ქართველ კათოლიკეთა თვითშეგნება, რწმენა. ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაიტავისოს, თუ რაოდენ საამაყოა იყო მსოფლიო, კათოლიკე ეკლესიის ცოცხალი წევრი და რა დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ კათოლიკე მამულიშვილებს, როგორც კათოლიკე ეკლესიის, ასევე, მშობლიური ქვეყნის წინაშე. ამისათვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება თუკი სტამბულის ქართულ სავანეში დაცულ მასალებზე ქართველი კათოლიკეებიც იმუშავებენ და ამ მასალებს გააცნობენ ჩვენს საზოგადოებას. ამით ვალს მოვიხდით ჩვენი წინაპრების ხსოვნის წინაშე და ბევრს ახალსაც გავიგებთ საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიიდან.

**თენგიზ პარმაქსიზიშვილი  
ბათუმი**

ინფორმაცია

ახალი გამოცემები

თომა კემპელი

**მიბაძა ქრისტესი**

ამ წიგნის ქართველი მკითხველისათვის შეთავაზების მთავარი მიზეზი დღესაც იგივე რჩება, რაც მთარგმნელმა საუკუნეზე მეტი წელი წინ გააცხადა თავის წინასიტყვაში მისეული ტარგმანის პირველი გამოცემისას. ამჟამად კი ჩვენ გვამოძრავებს არა მხოლოდ ის, რომ დღევანდელ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ესოდენ სახელგანთქმული ასეეტური თხზულება, არამედ, პირველ ყოვლისა, სასურველია, რომ თანამედროვე მორწმუნებს ხელთ ჰქონდეს საუკუნეების მანძილზე აქტუალური და შთამაგონებელი სულიერი სახელმძღვანელო და კიდევ: არცთუ უკანასკნელი მოტივი, რის გამოც ხელახლა ვბეჭდავთ წიგნს... არის პატივის მიგება მისი ქართულად მთარგმნელის, მამა ა. მღებრიშვილისა...

(ამონარიდი წიგნის წინასიტყვიდან)

**რენა გრუსე**

**ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია**

რენე გრუსე ავტორია მრავალი ნაშრომისა. წინამდებარე წიგნი კი მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაწარმოებია. მასში შეულამაზებლად და ისტორიული სიმართლის დაცვითა აღწერილი ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია.

წიგნი ითარგმნა და გამოიცა ბათუმში 2007 წელს, ქართულ და რუსულ ენებზე. წიგნის მთარგმნელები არიან ამირან კაციგაძე, თემურ სურმანიძე და ვიტალი დოლიძე.

წიგნის მთარგმნელები მადლობას უხდიან მამა გაბრიელ პეტრე ბრაგანცინის და მონაზონ ლორედანა მონეტის, ამ წიგნის გამოსაცემად გაწეული ქმედითი დახმარებისათვის.

### განცხადება

- 3-8 მარტი – ვულოცავთ ყველა დედასა და ქალსა
- 15 მარტი – წმ. იოსების დიდდღესასწაული. არალის ეკლესიის დღესასწაული
- 16 მარტი – ბზობა
- 20 მარტი – დიდი ხუთშაბათი. საიდუმლო სერობის მოხსენიება
- 21 მარტი – წითელი პარასკევი. იესო ქრისტეს ვნების მოხსენიება
- 22 მარტი – დიდი შაბათი, საპასექო დამისთვევა
- 23 მარტი – აღდგომა იესო ქრისტესი
- 30 მარტი – გულმოწყალების კვირადღე
- 31 მარტი – უფლის ხარება

### სარჩევი

ეპისკოპოსის მიმართვა  
რედაქციის გვერდი  
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში  
კათოლიკე ეკლესია საქართველოში  
ეკუმენური გვერდი  
ისტორიის ფურცლები  
ინფორმაცია  
ახალგაზრდული გვერდი

საგანგებო ჩანართი:  
ქრისტიანული სიმბოლოები

### რედაქცია:

მამა გაბრიელ ბრაგანცინი  
ნუგზარ ბარდაველიძე  
ნატო ბიგგავა  
ვერიკო ნოზაძე  
მერაბ დადანიძე  
ზაზა შათირიშვილი  
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4

ტელ.: 98-95-16

რეგისტრაციის № 1853

დაარსდა 1994 წ.

მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2008

ახალგაზრდული გვერდი

**ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია – ნარკომანიის სადარაჯოზე**

მსოფლიო საზოგადოება ბავშვთა მდგომარეობით პირველად 1923 წელს დაინტერესდა, როცა ახლადდაარსებულმა არასამთავრობო ბავშვთა ორგანიზაციამ – „ბავშვთა გადარჩენის საერთაშორისო კავშირმა“ მიიღო 5 მუხლისაგან შემდგარი ბავშვის უფლებათა დეკლარაცია. იგი უნდა დეკლარაციითაა ცნობილი და ერთა ლიგამ 1924 წელს დაამტკიცა.

1948 წელს გაეროს მიერ 1924 წელს მიღებული ტექსტის ოდნავ გავრცობილი ვერსია იქნა დამტკიცებული. 1959 წელს კი მიღებული იქნა ახალი დეკლარაცია (კონვენცია ეს არის ხელშეკრულება სახელმწიფოებს შორის რაიმე მნიშვნელოვან საკითხებზე). 1959 წლის დეკლარაცია საფუძვლად დაედო ბავშვთა უფლებების თავდაპირველ პროექტს.

1978 წელს პოლონეთის მთავრობამ მეათე კომისიას წარუდგინა ამ დეკლარაციაზე დაყრდნობით შემუშავებული ტექსტი. იმდოვნებდნენ, რომ იგი დაუყოვნებლივ იქნებოდა მიღებული 1979 წელ (ბავშვთა დაცვის საერთაშორისო წელს), მაგრამ კონვენცია გააკრიტიკეს, უწოდეს „რევოლუციური დოკუმენტი“ და არ მიიღეს. ამ დროს არსებულ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ბანაკებს არ მოეწონათ მათ საქმეში (ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით) საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარევა.

1990 წლის 2 სექტემბერს ძალაში შევიდა ბავშვთა უფლებების ახალი კონვენცია (ბუკ), რომლის რატიფიცირება საქართველომ 1994 წლის 21 აპრილს მოახდინა. მოხდა სახელმწიფო ნორმატიული აქტების იურიდიულ დონეზე გაფორმება.

იგი შედგება ოთხი ნაწილისაგან, სადაც მნიშვნელობა არა აქვს სოციალურ წარმომავლობას, რასას, რწმენას, სქესს.

ბავშვთა უფლებების კონვენციის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულების ძირითადი წინამდევარი არის ის, რომ ბავშვები იბადებიან თავისუფალნი და ყველა ადამიანური უფლებების მქონენი.

მუხლი I: უფლება – სიცოცხლის და განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის, თამაშის, დასვენების, ეზიაროს საკუთარ კულტურას, იწამოს საკუთარი რელიგია და წესჩვეულებები, ილაპარაკოს დედა ენაზე, პირადი შეხედულება.

უმთავრესი, ე. ი. ერთ-ერთი უპირველესი უფლებათაგანი არის სიცოცხლისა და განვითარების უფლება.

ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციფიური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.

მუხლი I: „ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვანების მიღწევას უფრო მცირე ასაკში“.

ბუკი გარდაქმნის ბავშვების და მათი ოჯახების ცხოვრებას მთელ მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, აღიარებენ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნაში არიან ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ განსაკუთრებით რთულ პირობებში და ასეთი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში იმატა სხვადასხვა მიზეზებით ჩადენილმა დანაშაულებებმა. ბევრია ოჯახის, მშობლების მზრუნველობას მოკლებული მოზარდი, რომლებიც ქუჩაში უფრო მეტ დროს ატარებენ, ქუჩა კი მიზიდულობის ძალით საკუთარი გავლენის ქვეშ აქცევს მათ.

ერთ-ერთი ასეთი საშინელი დანაშაული არის ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო გამოყენება.

ნარკოტიკს უწოდებენ ნებისმიერ ქიმიურად აქტიურ ნივთიერებას, რომელიც სპეციფიურ გავლენას ახდენს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. არსებობს სხვადასხვა შედგენილობის და განსხვავებული მოქმედების ნარკოტიკები: დეპრესანტები, სტიმულატორები, ჰალუცინოგენები.

ნარკოტიკის მიღებას მოჰყვება სასიამოვნო შეგრძნებები, დადებითი ემოციები:

- ხდება უფრო აქტიური;
- არ გრძნობს დაღლას;
- აქვს სხვადასხვაგავარი ხილვები.

გამოსვლის ფაზაში კი თავს იჩენს შემდეგი მოვლენები:

- გახშირებული ან შენელებული გულისცემა და სუნთქვა;
- წნევის მომატება;
- ძლიერი ოფლიანობა;
- სხეულის მაღალი ტემპერატურა;
- თავის ტკივილი;
- უძილობა, თავბრუსხევვა, გულისრევა, ლებინება;

– პირის სიმშრალე, ხელების კანკალი, წონასწორობის დარღვევა.

ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ემართება, მუდმივად წამალზე მიჯაჭვულ ადამიანს. მას აღენიშნება:

- ძლიერი ტკივილები;
- უძილობა, დეპრესია, ძლიერი გადაღლა;
- უსაფუძვლო შიში და შფოთვა;
- უმაღლება, კუჭ-ნაწლავის აშლილობა;
- მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები;
- ნარკოტიკის მიღების მტანჯველი სურვილი.

საბოლოოდ ნარკოტიკს მივყავართ მეტად მძიმე და სავალალო შედეგამდე:

- ნარკოტიკი ანგრევს ფსიქიკას;
- იკარგება ცხოვრებისეული ინტერესები;
- ადამიანი მთელი ცხოვრება ექვემდებარება ნარკოტიკს. რაც ძვირფასი და ღირებულია ცხოვრებაში, დავიწყებას ეძლევა ნარკოტიკის გამო. ერთადერთი, რაზეც ნარკომანი ფიქრობს, არის ნარკოტიკი და მისი შოვნა. ის მისი მონა ხდება;
- ნარკოტიკისაგან გათავისუფლება ძალიან ძნელია და იშვიათად თუ შეუძლია ვინმეს;
- ხდება პიროვნების დეგრადაცია, შეიძლება განვითარდეს ფსიქოზი, პარანოია.
- ნარკოტიკი ანგრევს ორგანიზმს;
- აზიანებს ტვინის უჯრედებს და ნერვულ სისტემას. ის კლავს უჯრედებს, რომლებიც აღარ აღდგებიან;
- აავადებს გულს, იწვევს ვენებისა და გულის კუნთების ანთებას;
- ანადგურებს ღვიძლს, რადგან გადაგვარებული ღვიძლის უჯრედები აღარ ფუნქციონირებს;
- ანადგურებს საჭმლის მომნელებელ სისტემას, გამოდევნის ორგანიზმიდან კალციუმს, შლის კბილებს, აშრობს ლორწოვან გარსს, აქვეითებს მადას და ამცირებს სხეულის მასას;
- გამანადგურებლად მოქმედებს ძვლის ტვინზე, შლის რა სისხლის წიგელ ნაწილაკებს და იწვევს ქანგბადის ნაკლებობას;
- ამცირებს სქესობრივ ლტოლვას, აზიანებს სასქესო უჯრედებს;

ნარკოტიკი ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას, თუმცა ეს ხანმოკლე სიცოცხლეც მუდამ საფრთხის ქვეშ არის, რადგან მას კავშირი აქვს ნარკოტიკების გამსაღებლებთან – დამნაშავეებთან; მაღალია ინფიცირების

რისკი, რადგანაც ნარკომანების მიერ არასტერილური ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპროცების გამოყენების დროს ერთი ინექციისას შიდსით დასხოვანების ალბათობა 0. 5%-ია. სიკვდილის მიზეზთა შორის კი შიდსს მსოფლიოში მეოთხე ადგილი უკავია, აფრიკის ქვეყნებში (საპარის რეგიონში) კი – პირველი; რადგან არსებობს ზედოზირების რისკი, რაც ძალიან ხშირად სიკვდილით მოავრდება; რადგან ნარკომანს მუდმივი პრობლემები აქვს შინ თუ გარეთ, კანონმდებლებითან.

ბუკ-ის მუხლი 33.

მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას: საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ჩომების ჩათვლით, რათა დაიცვან ბავშვები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნარკოტიკული ნივთიერებების და ფსიქოტროპიული საშუალებების უკანონო ხმარებისაგან, არ დაუშვან ბავშვთა გამოყენება ამ ნივთიერებათა კანონსაწინააღმდეგო წარმოებაში და ვაჭრობაში. და თუ მაინც მოხდა იძულებით ან საკუთარი ნებით მსგავს საქმიანობაში ჩათრეული მუხლი 37-ის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ყველა თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ეპურობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების განუყრელი დირსებების პატივისცემით, ისე რომ, გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებით. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო; ბავშვს უნდა პქონდეს უფლება კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან, მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით. და რომ არ მოხდეს მოზარდის ამ სენიო დაავადება, უპირველესი უურადდება ინფორმაციის მიწოდებას უნდა მიექცეს, შემდეგ კი მან თავად უნდა გამოიჩინოს ნებისყოფა. რადგან ნარკომანია ძალიან ახლოა წარმოსახვით სამყაროსთან, მის ცხოვრებას ერთადერთი მიზანი აქვს – კვლავ აღმოჩნდეს სამყაროში, რომლის კარსაც ნარკოტიკი უდებს.

ჩვენ ქრისტიანებმა კი ვიცით, რომელი ქვეყანაა სულისათვის ჭეშმარიტად სანუკვარი – ესაა, ცათა სასუფეველი.

სულის ცხონებისათვის ბრძოლაა საჭირო. რაც უფრო ადრე გამოერკვევა ადამიანი დაბატული მდგომარეობიდან, რაც უფრო ადრე ჩამოიბერტყავს პიპოზის ჯადოსნურ ხიბლს, მით უფრო ადრე შეძლებს ჭეშმარიტებისკენ, უფლისკენ მიქცევას.

ნინო ქლენტი

## ქრისტიანული სიმბოლოები საგანგებო ჩანართი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „საბა“ № 10. 11, 12; 2008 №1, 2)

### ტაბარი

ეკლესიის ბერძნული დასახელება ეკკლესია ნიშნავს მოწოდებას, შეკრებას. „ეკლესია ასე იწოდება იმიტომ, რომ ის ყველას მოუხმობს და აერთიანებს“, – ამბობს წმ. კირილე იერუსალიმელი. ზმნა კალეთ ნიშნავს ძახილს, ეკკალეთ გამოძახებას. გამოძახებულები – მოციქულები და ქრისტეს მიმდევრები არიან – ახალი ისრაელის ხალხი. ძველ აღთქმაში ახალი ისრაელის ხალხი გამოცალკევებული იქნა სხვა ხალხისაგან და მოწოდებული იმისათვის, რომ სამყარო მესიის შესახვედრად მოემზადებინათ. ახალი აღთქმის ეკლესია,

ახალი ისრაელი, მოწოდებულია ცოდვებში ჩაფლულ სამყაროს გამოუცხადოს ღმრთის მეუფება და მოამზადოს იგი ამ მეუფებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ეკლესია“ მრავალ ენაში გამოიყენება, როგორც ქრისტეს სხეულის, მისი მეუფების აღსანიშნავად, ასევე ტაძრის მიმართ. თუ ავიდებო ტაძრის კურთხევის ლოცვებს, ტაძარი იქ მოხსენიებულია, როგორც „სახლი ზეცის მსგავსი“ და იკურთხება, როგორც სახე ეკლესისა, ქრისტეს მისტიკური სხეულისა. ანუ ტაძარი არის სახე, რომელიც გადატანით, სიმბოლურად გამოხატავს იმას, რისი გამოხატვაც უშუალოდ შეუძლებელია. ქრისტიანული ცხოვრების საფუძველი პირველი საუკუნეებიდანვე ასეთია: ახალი ცხოვრების ადორძინება, დმერთოან მჭიდრო კავშირი, რომელიც სრულდება ევქარისტიის საიდუმლოში. ჩვენი ტაძრები, მათში შესრულებული საიდუმლო ძალით, გამოირჩევიან სხვა ყველა ადგილისაგან, ატარებენ, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულ ბეჭედს იმისას, რაც მათში სრულდება. პირველი ქრისტიანები ტაძარს „ღმრთის სახლს“ უწოდებდნენ. ეს სახელი ხაზს უსვამს ტაძრის გამორჩეულობას სხვა ყველა შენობისაგან, მიანიშნებს ქრისტიანებისათვის მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ტაძარი დაკავშირებულია ძველადთქმისეულ მემკვიდრეობასთან. ძველადთქმისეული კარავი ჩვენი ტაძრის პირველსახეა. იმი აშენდა იმ სახის მიხედვით, რომელიც მოსეს სინას მთაზე ეჩვენა. თვით უფალმა დაადგინა მისი საერთო გეგმა და მოწყობილობა.

ტაძრის სიმბოლური მნიშვნელობა განასხვავებს მას ყველა სხვა შენობისაგან. „ჩემი მეუფება“, – ამბობს მისი დამაარსებელი და მეთაური იესო ქრისტე, – „არაამქვეყნიურია“. ეკლესია ცხოვრობს ამ ქვეყნის გადარჩენისათვის. ღმრთაებრივ მეუფებას ამ ქვეყნისაგან განსხვავებული ბუნება აქვს, აქედან გამომდინარე, ეკლესია განახორციელებს თავის მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარჩება თავისი ზესამყაროული ბუნების ერთგული. მისი ცხოვრების წესი და მოქმედების მეთოდები განსხვავდება ამქვეყნიურისაგან, ამიტომ მისი გამოხატვის ხერხები, კერძოდ, მისი ხელოვნება, ამქვეყნიურისაგან სრულიად განსხვავებულია და სრულიად სხვა მიზნებს ისახავს. ამიტომ მნიშვნელოვანია საეკლესიო სფეროში მოქმედებისას ყოველთვის გავითვალისწინოთ ეკლესიის განსაკუთრებული ხასიათი.

ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან ეკლესიამ ტაძარსა და ღმრთისმსახურებას მიანიჭა მისი ბუნების შესაბამისი ფორმები. მან დაადგინა ტაძრის შიგნითა სახე, გალობა, სასულიერო პირთა შესამოსელი და ა.შ. ყველაფერი ეს ტაძარში და ღმრთისმსახურებაში შეადგენს შეთანხმებულ ანსამბლს. ხელოვნების ყველა სახის ერთი მიზნისთვის ორგანული დაქვემდებარება წარმოადგენს ლიტურგიკულ ერთიანობას.

ამ საერთო მიზნისათვის გაერთიანებული ხელოვნების განსხვავებული ელემენტები შედიან ღმრთისმსახურებაში. იმ ერთიანობის მრავალფეროვნებაში, რომელსაც მთლიანად გამოხატავს ეკლესიის ტაძრისეული საწყისი. სწორედ ეს ქმნის განსაკუთრებულ ეკლესიურ სილამაზეს, რომელიც სრულიად განსხვავდება ამქვეყნიურისაგან.

ისტორიიდან და არქეოლოგიდან ვიცით რომ, პირველ საუკუნეებში ქრისტიანები კატაკომბებში და სახლებში ლოცვულობდნენ. მაგრამ იშვიათ შემთხვევაში მიწისქვეშა ტაძრებსაც აგებდნენ, რომლებიც დევნის დროს ინგრეოდა. ისევე, როგორც რწმენის დოგმატური ჭეშმარიტებანი, ტაძრის სიმბოლიკაც არ ფორმირდებოდა ქრისტიანის ცნობიერებაში, ისეთი თეორიული დანაწევრებით, როგორც იყო მოგვიანებით. მაგრამ შემდგომში გაჩნდა ამის საჭიროება. და მაინც, პირველი საუკუნეებიდან მოაღწია ჩვენამდე მითითებებმა ტაძრის საერთო სახის შესახებ. მესამე-მეოთხე საუკუნეების ძეგლებში, საუბარია იმაზე, რომ ტაძარი მორწმუნეს გემს უნდა აგონებდეს და მას სამების მოსაგონებლად სამი კარი უნდა ჰქონდეს. გემის სიმბოლო მჭიდრო კავშირშია

ნოეს კიდობანთან. როგორც კიდობანმა გადაარჩინა ნოე წარდგნისაგან, ასევე სულიწმიდის მიერ მართული ეკლესია გადაარჩენს მორწმუნებს. დღემდე ტაძრის შუა ნაწილს ჰქვია გემი. ამგვარად ნოეს კიდობანი არის ეკლესის და ასევე ტაძრის პირველსახე.

ამგვარად, ტაძრის სიმბოლური დატვირთვა ემსახურება ადამიანის გონებისა და სულის ამაღლებას ღმრთაებრივისაკენ. ტაძრის არქიტექტურა განგვაწყობს უხილავი საგნების ჭვრეტისაკენ. ასე ხილული ნივთები გვეხმარებიან სიმბოლოებით და შევყავართ ღმრთაებრივი სამყაროს შემცნებაში.

მეოთხე საუკუნიდან ტაძრის სიმბოლიკა ვითარდება. კონსტანტინე დიდის შემდეგ იწყება ტაძრების არნახული მშენებლობა. ამ მდგომარეობამ განაპირობა ტაძრის სიმბოლიკისა და მისი აგების წესის აუცილებლობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრისტიანული ცხოვრების მიზანია ადამიანის ქრისტესთან შეერთება და მასში დამკვიდრება. ეს პროცესი ამ სამყაროში იწყება და სრულყოფილებას შემდგომ ცხოვრებაში აღწევს. ამ მიზნის მისაღწევად ადამიანი რთულ გზას გადის: სულს ვნებებისგან ითავისუფლებს და შინაგანად ემზადება. თუმცა მისი მიღწევა მხოლოდ სულის განათებითაა შესაძლებელი. ეს კი წმიდა ეკლესიის ღმრთისმსახურების მეშვეობით ხდება, რომლის დროსაც მიწიერი და ზეციური სამყაროები ხვდებიან ერთმანეთს. ადამიანი სულისა და სხეულისაგან შედგება, ამიტომ ღმრთისმსახურება შედგება არა მხოლოდ სულიერად, არამედ ხილულ გრძნობად სახეებშიც. ეს სახეები ზეციური სამყაროს სიმბოლოებია. ისინი კარს გვიღებენ ღმერთისაკენ ასამაღლებელ გზაზე. ასეთი სიმბოლური დანიშნულება, პირველ რიგში, ტაძრებს აქვთ, რომლებშიც ღმრთისმსახურება ტარდება.

ზეციური სამყაროსკენ სვლა იწყება იმ წუთიდან, როცა ტაძარში ვდგამო ვეხს. ტაძრის შინაგანი სულიერი არსი გამოიხატება მის სიმბოლიკაში, მართლმადიდებლური ტაძრის არქიტექტურაში და მხატვრულ გაფორმებაში. მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით, ტაძრის სულიერი არსი მიიღწევა მისი სამი ძირითადი სიმბოლოს გახსნით: ტაძარი არის სახე ქრისტეს ეკლესიის, სამყაროსი და ადამიანისა. ეს სამი სიმბოლო ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

პირველ რიგში, ტაძარი წარმოადგენს ეკლესიის სახეს. ეკლესია და ტაძარი ონგრედობიურად ნათესავები არიან. ტაძარი ეკლესიის სახეა იმიტომ, რომ თვითონ ეკლესია არის ღმრთის ტაძარი. წმიდა წერილში და ადრექტისტიანულ მწერლობაში არაერთხელ მოიხსენიება ეკლესია ტაძრად და შენობად და მისი შინაგანი თვისებების გასახსნელად მწერლები იყენებდნენ ხუროთმოძღვრებიდან ნასესხებ სახეებს. შეიძლება ითქვას, რომ ტაძარი მეტია, ვიდრე ეკლესიის უბრალო სახე. ამ აზრით ის არის სავაკლესიო ცხოვრების ცოცხალი განხორციელება, რადგან ეკლესია მასში იკრიბება ევქარისტიის შესასრულებლად. ეკლესიაში შესვლისას თქვენ შედისართ სამყაროში, რომელიც არ ჰგავს ხილულს... ამ სამყაროში ყველაფერი წარმავალია, ეკლესიაში – მარადიული, აქ ამაოება და ცოდვაა, ეკლესიაში – ჭეშმარიტება და სიმართლე.

ამასთან, ტაძარში შესვლისას ჩვენ განსაკუთრებით შევიგრძნობთ შინაგან ერთობას ხილულ სამყაროსთან. აქედან გამომდინარეობს ტაძრის მეორე სიმბოლო – ტაძარი ქვეყნიერების სახე. ამგვარად, ტაძარი არის არა მხოლოდ ქრისტეს ეკლესიის სიმბოლო, ის არა მხოლოდ საფეხურია ზეციური სამყაროსკენ, არამედ თავის თავში ატარებს ამა ქვეყნის სახესაც. მხოლოდ ეს სახე ძირშივე განსხვავდება იმ ქვეყნისაგან, რომელიც გვიყვარს ცოდვილი გულებით. ეს არის ცოდვისაგან განწმენდილი სამყარო, ისეთი, როგორიც შემოქმედმა შექმნა. აქ ვხედავთ ცას, რომელზეც ღმერთმა თქვა, რომ ის არის

უფლის საკურთხეველი და მიწას – მის ფეხსაღგამს. ეს არის სამყარო, რომელიც იმისათვის შეიქმნა, რომ თავისი სილამაზით ედიდებინა ღმრთის დიდებულება და სიბრძნე.

ტაძრის ამქვეყნიური ხატის სიმბოლიკას ონტოლოგიური საფუძველი აქვს, რადგან თვით ქვეყნიურება არის ღმრთის ტაძარი. ტაძარი ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც ქვეყნიურების საწყისი, თვით ქვეყნიურება – კაცობრიობა, ანგელოზები და ქვემომდებარე ქმნილებანი, უნდა იქცნენ ტაძრად ღმრთისა.

ტაძრის ეს ორი სიმბოლო – ხატი ეკლესიისა და ხატი ქვეყნიურებისა – უპირისპირდებიან და ამავე დროს მიიღებიან ერთმანეთის სკენ. ისინი ესწრაფვიან ერთ ყოვლისმომცველ ტაძრად შეერთებას და, ამავე დროს, უპირისპირდებიან ერთმანეთს, რადგან პირველმა ცოდვამ გამოიწვია მათ შორის განხევთქილება. ადამის ცოდვამ სიკავდილი შეიტანა სამყაროში, მაგრამ ადამიანს შეუძლია გამოისყიდოს ცოდვა და დაუბრუნოს მსოფლიოს პირველყოფილი მშვენიერება.

ამ დასკვნას უშუალოდ მიყენავართ მესამე სიმბოლოსთან – ტაძარი, როგორც ადამიანის სიმბოლო. პირველი ორის მსგავსად ეს სიმბოლოც ონტოლოგიურ საფუძვლებს ეყრდნობა – ადამიანი არის ტაძარი ღმრთისა. მაქსიმე აღმსარებელი ადამიანს საიდუმლო ეკლესიას უწოდებს: მისი სხეული ტაძარია, საფუძინებელი – საკურთხეველი, ხოლო სული – სამსხვერპლო, რომელზე აღსვლისას ადამიანი იხილავს მდუმარების მიუწვდომელ სიმაღლეზე დაფარულ ღმრთაებას. ამგარად აიხსნება ხელთუქმნელი ტაძრისა და ადამიანის კავშირი. მათ შორის დრმა შინაგანი ერთობა არსებობს. ამ ერთობას ორი მიმართება აქვს: ერთის მხრივ, ადამიანი ვერ შეიცნობს ტაძრის მნიშვნელობას, როგორც ეკლესის და სამყაროს ხატისას, ვერ შეაკავშირებს მათ ერთიან, ყოვლისმომცველ ტაძრის ხატში, თუ თავად არ ჰქოვებს ამ კავშირს თავის გულში, მეორეს მხრივ, შინაგანი ტაძრის აშენება განუყრელადაა დაკავშირებული ხელთუქმნელ ტაძარში ყოფნასთან.

მართლმადიდებლურ ტაძარს აქვს სამგვარი ფორმა: გემისა – ეკლესია გვიხსნის ჩვენ ქვეყნიურ საცდურთა შორის მყოფთ, როგორც ოდესდაც ნოე გადაურჩა წარდგნას, მხოლოდ ამ გემის საშუალებით მივაღწევთ ცათა სასუფეველს; ჯვრისა – ჩვენი ცხონების იარაღი ქრისტეს ჯვარია; წრისა – წრე აღნიშნავს ეკლესიის, როგორც ქრისტეს სასუფევლის მარადიულობას.

გუმბათი ზეცის სიმბოლოა, მის თავზე ჯვარი კი – ეკლესიის მეთაურის – ქრისტესი. ტაძრებზე სამი (სამების თაყვანსაცემად) ან ხუთი (ქრისტე და ოთხი მახარებელი) გუმბათი იდგმება.

ტაძრის შიდა ხედი ზეციურ სამყაროს წარმოადგენს. ამქვეყნად მოღვაწეთათვის ზეციური სამყარო მხოლოდ „სასურველი“ ადგილია. იგი მთლიანად მეორედ მოსვლის შემდეგ გაიხსნება ადამიანისათვის. ახლა კი ორი სამყაროს ურთიერთობის დონე მორწმუნის სულიერ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ამიტომ ტაძარი სამ ნაწილად იყოფა: საკურთხეველი, შუა ნაწილი და კარიბჭე – თითოეული შეესაბამება მორწმუნეთა სულიერი მდგომარეობით განხევვებულ ჯგუფებს.

საკურთხეველი ძველი აღთქმის წმიდათა წმიდას შესაბამისია. აქ აღმართულია წმიდა ტრაპეზი, რომელზედაც წმიდა ძღვენი – ქრისტეს სისხლი და ხორცი დევს. ევქარისტიის საიდუმლოს შემსრულებელი მდვდელმსახურები ზეციურ ძალებს ემსგავსებიან. ამგვარად, საკურთხეველი ტაძრის სხვა ნაწილებთან შედარებით წარმოადგენს ღმრთის სუფევის განსაკუთრებულ ადგილს, ემსგავსება სამოთხეს და ძალიან ახლოსაა ზეციურ ეკლესიასთან, ამიტომ ეწოდება საკურთხევლის შუა კარებს სამეუფეო კარი.

წმიდა ტრაპეზი, სადაც სრულდება ევქარისტიის საიდუმლო და ინახება წმინდა შესაწირავი, ნიშნავს უფლის საფლავსა და მისი აღდგომის ადგილს.

სამსხვერპლო, რომელზეც ხდება კვეთა, ნიშნავს ბეთლემის მღვიმეს, მაცხოვრის შობის ადგილს და, ასევე, მის საფლავს.

საკურთხევლის გუმბათზე ხშირად გამოისახება სული წმიდის გარდამოსვლა, ხოლო აბსიდებზე ღმრთისმშობელი ყრმით. ტაძრის შუა ნაწილში დგანან მართალი, რომლებმაც მიიღეს ნათლობა და დასკვებულნი არიან სხვა საიდუმლოებებზეც. ამრიგად, ტაძრის შუა ნაწილი წარმოადგენს დედამიწაზე მოღვაწე ესკლესიას, რომელშიც ხდება კაცობრივი ბუნების მიახლოება ღმრთთან. თავის მხრივ შუა ნაწილიც იყოფა: გუმბათის კამარა აღნიშნავს ზეცას, კანდელები ვარსკვლავებს, ხოლო ქვედა ნაწილი დედამიწას. ცა და დედამიწა აქ მჭიდრო კავშირშია და არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. შუა ნაწილი საკურთხევლისგან გამოყოფილია კანკელით, მაგრამ მათ შორის მაინც არის კავშირი, ზეციური ეკლესია ეხმარება მებრძოლ ეკლესიას. ამის დასტურად კანკელი შეადგენს მაცხოვრის, ღმრთისმშობლის, საუფლო დღესასწაულების, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა და წმიდა მამათა ხატებს. საკურთხევლის წინ შემაღლებული ადგილი – სოლეა, მამათა მიხედვით აღნიშნავს იმ ცეცხლოვან მდინარეს, რომელიც ყოვს ცოდვილებს და მართლებს. აქ ცეცხლს გამოსაცდელი მნიშვნელობა ენიჭება.

ტაძრის შუა ნაწილის გუმბათზე გამოსახულია ქრისტე პანტოკრატორი, რომელიც სუფევს ზეცად ანგელოზებთან ერთად, გუმბათის ყელზე – მოციქულები, წინასწარმეტყველები, წმიდა მამები, კამარის აფსიდებზე – ოთხი მახარებელი, ტაძრის კედლებზე – საუფლო დღესასწაულები და სახარების ფრაგმენტები, ხოლო დასავლეთ კედლებზე ყველაზე ხშირად გამოსახავენ საშინელ სამსჯავროს.

ტაძრის მესამე ნაწილი არის კარიბჭე. აქ დგანან კათაკმეველნი და მონანულნი. ეს ნაწილი აღნიშნავს მიწიერ ცხოვრებას და ჯოჯოხეთსაც კი. აქედან მდგრელმთავრის სვლა დასავლეთისაკენ მსახურების დროს ნიშნავს ქრისტეს შესვლას ჯოჯოხეთში. ამრიგად, ტაძრის მოწყობილობას გამოყავს მორწმუნე ამა სოფლის ამაოებიდან და მიჰყავს ზეციურ სამყაროსკენ, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ ფორმაა იმ მდიდარი შინაგანი არსისა, რომელსაც მორწმუნე ტაძარში ფსალმუნთა, სახარებისა და სამოციქულოთა კითხვის დროს იღებს. ტაძარი არის ზეცის სიმბოლო, მყოფობის შემოუსაზღვრავი სავსება, ადგილი, რომელიც უსასრულოს იტევს, ისევე, როგორც ქრისტეს კაცობრივი სხეული იტევს მის უსასრულო და ტრანსცენდენტურ ღმრთაებრიობას. აქ ლიტურგიკული სიმბოლოების მეშვეობით დროში განცხადდება თვით მარადისობა, რადგან მარადისობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულისათვის სული წმიდის განცხადებაა. ტაძარს სიმბოლოთა სისტემაში უმაღლესი ადგილი უჭირავს. ეს ის ადგილია, სადაც ღმერთი მყოფობს, სადაც ორი ლიტურგიკული ეკლესიის – ზეციურისა და მიწიერის ერთობა ხორციელდება, სადაც წმინდა ისტორიულ მოვლენებს, წარსულთაც და მომავალთაც, აქტიური აწმეოს ფორმა აქვთ. ამიტომ ღმრთისმსახურებაში მარადიულობა ვლინდება, ტაძრის სივრცე კი უსასრულოს იტევს. ტაძარი ერთიანი და მრავასახოვანი სიმბოლოა, ამავე დროს სიმბოლოთა მთელი სამყარო. იგი არის ფერნაცვალები ქოსმოსის ხატი, ზეციური ეკლესიის სიმბოლო, ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, რომლებიც ერთ ცენტრში – ქრისტეს სახეში ერთიანდებიან.

განვიხილოთ ტაძარი, როგორც წმინდა სიმბოლო. ყოველი ტაძარი სივრცობრივი კი არა, სამყაროს ენერგეტიკული ცენტრია: მისი გუმბათი ცის მსგავსებაა, კედლები – პორიზონტის, საკურთხეველი – ზღვიდან ამოზრდილი ადამიანებით დასახლებული ხმელეთისა. ეს, ასე ვთქვათ, სიმბოლოს დაბალი ასპექტია. უმაღლესი აზრით კი ტაძარი ზეციური ეკლესიაა, სულიერი სამყარო, სადაც სიმაღლისაკენ მისწაფება სულის ღმრთისაკენ ლტოლვას აღნიშნავს, გუმბათის გარშემოწერილობა – მარადიულობას, ტაძრის საფუძველი, ჯვარი –

სიყვარულს, მარადიული ცხოვრების დამტევს. ამასთან ტაძარი სტატიკური სიმბოლო კი არა, დინამიკური სიმბოლოა: იგი არა მხოლოდ მიუთითებს სამყაროს მომავალ ფერისცვალებაზე, არამედ საფუძველსაც უყრის მას. ტაძრის ცილინდრული გუმბათი, წერტილამდე რომ ვიწროვდება, კოსმოსის სულიერ ერთში შეჭრას ნიშნავს. ალივით მომრგვალებული კი – ცეცხლს, რომელიც განაახლებს სამყაროს, განყოფს ბოროტსა და კეთილს, ბნელსა და ნათელს და განაცხოველებს მატერიალურობას.

## ხატი

მართლმადიდებლობისათვის ხატი ტაძრის ორგანული ნაწილია, სულიერისა და უხილავის მატერიალურ პლანში გამუდავნება, მაგრამ არა სარკეში არეკლილი გამოსახულების ანდა პროექციის საშუალებით, არამედ განსაკუთრებული ნიშნობრივი სისტემით. ხატი არის სიმბოლო და მსგავსება, მაგრამ განსაკუთრებული სახის მსგავსება – მასში სიმბოლოს აზრობრივი დატვირთვა ხატზე გადადის, მსგავსება ნიშნად იქცევა, ნიშანი კი ვიზუალურ მსგავსებას იძენს. ხატში წმინდანის კონკრეტული გამოსახულება მისი სულიერი მყოფობის სიმბოლოდ, თანამყოფობის ნიშნად გამოდის.

ხატში ორი პრინციპია შერწყმული: მსგავსებისა (კატაფატურობისა) და განსხვავებულობისა (აპოფატურობისა). მსგავსება აუცილებელია წმინდანის ცნობის, მისი, როგორც განუმეორებელი პიროვნების გამუდავნებისთვის, პირობითობა და განსხვავებულობა კი – მისი არსებობის სხვა ფორმის გადმოსაცემად. ხატი ერთდროულად მიწისკენაცაა მიმართული და მიწისგანაცხვენ მას მიწიდან ვხედავთ, იმ მზერით, რომელიც მხოლოდ ამქვეყნიური რეალობის ჭვრეტასაა შეჩვეული. წმიდანი თითქოს ხატიდან ხედავს ქვეყანას, ამიტომ ხატში არ არის ამქვეყნიური პერსპექტივა, იგი ასიმეტრიულია და პირობითი.

როგორც იეროგლიფია შუალედური რგოლი ასოსა და ნახატს შორის, ისევე ხატი ათავსებს თავის თავში სიმბოლოსა და სურათის თვისებებს. ხატი მრავალპლანიანია, ზოგჯერ ეს პერსპექტივის უქონლობით, ანუ სივრცის ილუზორული აღქმით მიიღწევა. ზოგჯერ კი რამდენიმე ურთიერთგანმსჭვალავი სფეროს მოხაზვით. ერთპლანიანობა და ვიზუალური პერსპექტივის არსებობა ხატწერის პრინციპების დარღვევაა და დიდ ასპარეზს იძლევა რელიგიური პროფანაციისთვის.

ამრიგად, ხატი არც სულიერი სამყაროს ფერწერული გადმოცემაა და არც განყენებული ნიშანი, ესაა მთელი აღმოსავლეთის ეკლესიის მისტიკური გამოცდილების მხატვრული იდიომა. ხატს რამდენიმე ასპექტი აქვს: ინფორმაციული, ფსიქოლოგიური, მისტიკური, სოტერიოლოგიური და ესქატოლოგიური. ინფორმაციულ პლანში ხატი ვიზუალური სახეებით დაწერილი წიგნია. სულიერი სამყაროს სუბსტანცია გამოუთქმელია, მაგრამ ნუ დაგვაწყვდება, რომ მატერიალური სამყაროც გამოუთქმელია თვისი არსებით და მოქმედებისა და თვისებების საშუალებით გადმოიცემა. ადამიანი მატერიალური საგნის არსს კი არ აღიქვამს, არამედ მის დინამიკურენერგეტიკულ გამოვლინებას და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენს მის ტრანსფორმირებას საგნად. სულიერი სამყაროს გადმოცემა სიტყვითაც შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ გვაქვს წმინდა წერილი, როგორც თვით სულიერი სამყაროს გამოცხადება ადამიანურ ენათა დონეზე, ბეგერებისა და გრაფიკის სისტემებში. ხატი და ბიბლია ღმერთთან თანაზიარების გზაა. ხატი და ეკლესიის მოხატულობა ბიბლიის ანალოგია ვიზუალურ ასპექტში.

ხატის მეორე, ანუ ფსიქოლოგიურ ასპექტს ასოციაციათა რთული სისტემის საშუალებით აღვიქვამთ. მასში ჩვენი ემოციური სფეროა ჩართული.

საგანი, რომელიც ჩვენს ახლობელს ეკუთვნის, იმითაა ძვირფასი, რომ მის თავს გვაგონებს. საყვარელი ადამიანის პორტრეტი მისი ჩვენთან ყოფნის განცდას ბადებს. ამიტომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ხატი ლოცვისას გონების შემოკრებას და ჩვენი რელიგიური გრძნობის აქტუალიზაციას უწყობს ხელს. ხატის მნიშვნელობის უარყოფა ამ რაციონალურ პლანშიც კი შეუძლებელი იქნებოდა.

ხატს მისტიკური და სოტერიოლოგიური ხასიათიც აქვს, იგი წმინდანის სახესთანაა შეერთებული. წმინდანის ჰიპოსტასი მის ხატში განსაკუთრებული სულიერ-ენერგეტიკული ველის საშუალებით ვლინდება. ამ აზრით ხატი ძალთა, კურნებათა და სასწაულთა წყაროა. ეს კარგადაა ცნობილი ეკლესიის ისტორიაში და ამიტომაც ეწოდება ზოგიერთ ხატს სასწაულმოქმედი. საგულისხმოა ხატის ესქატოლოგიური ასპექტიც: ესაა ადამიანის მომავალი ფერისცვალება სულიწმიდით. ხატი არის კოსმოსის მომავალი განსულიერების იდეა, როდესაც ბოლო მოედება სულისა და მატერიის დაპირისპირებულობას. უმაღლეს სიმბოლოს და ფერნაცვალები კოსმოსის ხატს ტაძარი წარმოადგენს. ხატთა თაყვანისცემის დოგმატის აღიარებით კაცობრიობამ გამომსახველობითი ხელოვნების ბუნება განსაზღვრა, როგორც ლირებული. ამ აღიარებით ესთეტიკური ფენომენი, თავის უმაღლეს მწვერვალზე (ხატი) და, აქედან, საერთოდ ხელოვნება არ არის გარეგნული შთაბეჭდილების კომბინაცია, არამედ ჭეშმარიტად არსობრივი სინამდვილის, რაღაც უმჭველად დირსეულის გამოვლენა გრძნობიერის საშუალებით. VII საეკლესიო კრების მამების სწავლებით ხელოვნება „მოგონებითია“. ამ თეორიას თანამედროვენი ხალისით იყენებენ, მაგრამ სიტყვას „მოგონებითს“ აძლევენ სუბიექტურ და ფსიქოლოგიურ შეფერილობას, თანაც ეს ტერმინოლოგია ძველი ელინური გავლენის ქვეშაცაა. ხელოვნება ონტოლოგიური პირველსახის გახსნაა. იგი ჭეშმარიტად გვაჩვენებს ახალ, აქამდე ჩვენთვის უცნობ რეალობას. ხელოვანი სახეებს კი არ ქმნის, არამედ ბაძავს უკვე შექმნილ, არსისეულ სახეს: საღებავს კი არ ადებს ფურცელს, არამედ თითქოს აცილებს ზედმეტს.

ხელოვნების ჭეშმარიტი არსი, მისი საწყისი და პირველწყარო ხატწერაა. ხატი უნდა გავიგოთ თვითდირებულად, როგორც ახალი რეალობის გამომვლენი, პირველსახეთა მაჩვენებელი. ხატწერა არის გახსნა სამყაროს გაუზომავი სულისა. გასარკვევია თუ რას აღიარებდნენ ხელოვნებაში უმაღლეს ლირებულებად და სულის მატარებლად, რადგან ხელოვნების მეტაფიზიკური ბუნების ფორმალური დადგენა ჯერ კიდევ არ აკონკრეტებს, თუ კონკრეტულად არ აღწევს ხელოვნებაში მის დანიშნულებას უმაღლეს და უმდაბლეს სამყაროებში. მეორეს მხრივ, ასეთი შესწავლა სასუალებას მოგვცემს გავიგოთ თვით სულიც, რადგან ხატები, რომლებიც სულის მატარებლად ითვლებიან, თვითონ არიან სულის არსობრივი მოწმენი, მოწმენი არა უმცირესისა, თუ არა უმეტესისა, ვიდრე წერილობითი ძეგლებია.

ქრისტიანულ კულტურაში ხატი უნიკალურ ადგილს იკავებს. იგი, უპირველეს ყოვლისა, არის ტექსტი, რომელიც ჭეშმარიტების შეცნობაში გვეხმარება. ფლორენსეკის აზრით, ხატი ხელოვნების ნაწარმოებზე ან მეტია, ან ნაკლები. წმიდა მამები ხატს ღმრთისმეტყველების ნაწილად მიიჩნევენ. ასეთი დამოკიდებულების საფუძველზე VII საეკლესიო კრებამ ხატების შექმნა ღმრთისმეტყველებს მიანდო, ხოლო მისი მატერიალიზება – მხატვრებს. ხატწერის კანონი თანდათანობით ყალიბდებოდა. იგი ემყარებოდა სახის ღმრთისმეტყველურ გაგებას, ამიტომ განიხილებოდა არა როგორც გარეგნული ჩარჩოები, არამედ როგორც საფუძველი ხატისა, როგორც ხელოვნების ნაწარმოებისა. ხატის მხატვრული მხარე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც იდეოლოგიური.

ქრისტიანობა სიტყვის რელიგიაა, ამით განისაზღვრება ხატის სპეციფიკაც. ხატის ჭვრება არა მხოლოდ ესთეტიკური პროცესი, არამედ, პირველ რიგში, ლოცვითი აქტია.

ხატი თავიდანვე გაიაზრებოდა, როგორც საკრალური ტექსტი და იგი, როგორც ყოველი ტექსტი, მოითხოვს კითხვის გარკვეულ ჩვეულებას. წმიდა მამები ასახელებენ საფეხურებს, რომელიც ხატის კითხვისას უნდა გავიაროთ: პირდაპირი, ალეგორიული,, მორალური და ანაგოგიური. პირველ საფეხურზე ხდება სიუჟეტთან გაცნობა, მეორეზე – სიმბოლოს ნიშნის გახსნა, მესამეზე – გამოწერება გამოსახულების კავშირი აღმქმნელთან, მეოთხე საფეხური კი – უკვე პირველსახესთან უშუალო ურთიერთობაა.

ხატი თავისებური ფანჯარაა სულიერ სამყაროში. იგი ნიშანთა სისტემის დახმარებით გადასცემს ინფორმაციას. ხატის ენის წვდომა სულაც არ არის რთული, მაგრამ რწმენის გარეშე, მხოლოდ ესთეტიკური ხედვით მასში გადმოცემულ დოგმატურ ტექსტს ვერ წავიკითხავთ.

პირველ ქრისტიანებს არ გააჩნდათ ტაძრები და არ წერდნენ ხატებს. მაგრამ დროთა განმავლობაში აუცილებელი გახდა ხატწერის საშუალებით გადაეცათ მორწმუნეთათვის დოგმატები. პირველმა ხატებმა განიცადეს ანტიკური ხელოვნების რეალისტური გავლენა. ისინი გვიან რომაულ პორტრეტს მოგვაგონებენ. ყველაზე ადრეული ნიმუშები სინას მთაზე წმიდა ეკატერინეს მონასტერში გვხვდება.

სახე ხატში ყველაზე მთავარია. ხატწერის სამუშაოს სტადიები იყოფა „პირადად“ და „პირადამდე“. „პირადამდელს“ ანუ ყველაფერს სახისა და ხელების გარდა ხატავს თანაშემწერ, დანარჩენს კი – ოსტატი. სახეზე განსაკუთრებით გამოყოფნენ თვალებს, როთაც მიანიშნებდნენ, რომ თვალები, მართლაც სულის სარკეა. მაგრამ პირადი მარტო სახე და თვალები როდია. უდიდესი მნიშვნელობისაა ხელებიც. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხატზე გამოსახულ უესტს (მაცხოვრის მაკურთხებელი უესტი, ორანტის მლოცველი უესტი და ა. შ.) ასევე, მნიშვნელოვანია თუ რა უჭირავს ხელში წმინდანს [მოციქული პავლე, ჩვეულებრივ, წიგნით ხელში გამოისახება, მოციქული პეტრე კი – გასაღებით (მათ. XVI, 19)].

კლასიკური ხატის ფერი ოქროსფერია. ხატში ფერს უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ფერთა იერარქიაში პირველი ადგილი ოქროსფერს უკავია. ის ერთდროულად ფერიცაა და სინათლეც. ოქრო აღნიშნავს ღმრთაებრივი დიდების ბრწყინვალებას, რომელშიც მყოფობენ წმიდანები. ეს არის შეურყვნელი სინათლე, რომელმაც არ იცის დიხოტომია – „სინათლე-უკუნი“. ოქრო ზეციური იერუსალიმის სიმბოლოა. ყველაზე აღეპვატურად ეს საოცარი სახე გამოიხატება მოზაიკის მეშვეობით, რომელიც გადმოგვცემს შეუთავსებელი ცნებების შეერთებას – „სუფთა ოქროს“ და გამჭვირვალე შუშას.

ოქრო მიართვეს ახალშობილ მაცხოვარს მოგვებმა, ძელი ისრაელის აღთქმის კიდობანიც ოქროთი იყო მორთული. აქედან ნათელია თუ რა დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ქრისტიანებისათვის ოქროს. იგი, როგორც ყველაზე ძვირფასი მეტალი დედამიწაზე, გამოხატავს ყველაზე მნიშვნელოვანს სულიერ სამყაროში – წმიდანების ოქროს შარავანდედები, ქრისტეს ფიგურის გარშემო ოქროსფერი ნათება და მაცხოვრის ოქროსფერი ჩასაცმელი – ყველაფერი ეს ემსახურება სიწმინდისა და მარადიული დირებულებების სამყაროსადმი კუთვნილების გამოხატვას. ხატის შინაგანი აზრის გაგების გარეშე ოქროს სიმბოლური მნიშვნელობა იკარგება და რჩება მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა. ხანდახან ოქრო, თავისი სიძვირის გამო, სემანტიკურად მასთან ახლოს მდგომი ფერებით – წითელი, მწვანე, ყვითელი. წითელი სულის ცეცხლის სიმბოლოა, რომლითაც მაცხოვარმა თავისი რჩეულები აკურთხა, ამ ცეცხლში წმიდა სულების ოქრო მოსჩანს. მწვანე

მარადიული ცხოვრების, მარადიული აყვავების და, ასევე, სული წმიდის ფერია. ყვითელი კი ყელაზე ახლოსაა ოქროსფერ სპექტროან და უბრალოდ მის შემცვლელს წარმოადგენს.

ყველაზე ახლოს სემანტიკურად ოქროსფეროან არის თეთრი. ისიც ტრანსცენდენტულობას გამოხატავს და ერთდოულად ფერიცაა და სინათლეც, მაგრამ მას ოქროსფერზე გაცილებით იშვიათად იყენებენ, ძირითადად, სამოსის მოსახატად. ოქროსფერი თავის გვარში ერთადერთი ფერია, როგორც ერთია ღმრთაება. ყველა დანარჩენი ფერები აგებულია დიხოტომიის პრინციპით – თეთრი და შავი და დამატებითი ლურჯი და წითელი. ხატი სამყაროს ერთიანობიდან გამოდის და არ იდებს მის დიალექტიკურ წყვილებად გაყოფას. მაგრამ სამყაროს ერთიანობა არ გამორიცხავს მის მრავალფეროვნებას. ამ მრავალფეროვნებას ფერი გამოხატავს, ოღონდ განწმენდილი, თავდაპირველი არსით. ხატში ფერი მოცემულია ლოკალურად, მისი საზღვრები საგნის საზღვრებითაა განსაზღვრული.

თეთრი ყველა ფერის შეერთებაა. ის არის სისუფთავის და უმწიკვლობის სიმბოლო. მას ეწინააღმდეგება შავი, როგორც ფერის არმქონე და ყველა ფერის მშთანთქავი. შავი ხატწერაში იშვიათად გამოიყენება. ის არის ჯოჯოხეთის სიმბოლო, მაგრამ იგი ყოველთვის დამარცხებულია. შავს ძირითადად გამოიყენებენ „ჯოჯოხეთის წარტყმევნის“ კომპოზიციაში.

წითელი და ლურჯი ფერები ანტიომიურ ერთიანობას შეადგენებ. როგორც წესი, ისინი ერთად გამოდიან და წყალობისა და ჭეშმარიტების, სილამაზისა და სიკეთის, მიწიერისა და ზეციურის სიმბოლოებია, ე. ი. იმ საწყისებისა, რომლებიც დაცემულ სამყაროში დაყოფილი და დაპირისპირებულია, ხოლო ღმერთში ისინი შეერთდებიან. ამ ფერებით ძირითადად ქრისტეს და წმიდანების ჩასაცმელს გამოხატავენ. ამ ფერებით გამოხატულია ღმრთის განხორციელება: წითელი სიმბოლოა მიწიერის, ადამიანური ბუნების, სისხლის, სიცოცხლის და ტანჯვის, მაგრამ, ამავდროულად, ეს მეფერი ფერიცაა; ლურჯი კი გადმოსცემს ღმრთაებრივ საწყის, ზეციურს, საიდუმლოს მიუდწევლობას და გამოცხადების სიდრმეს. ქრისტეში ეს საპირისპირო სამყაროები შეერთდებიან, როგორც შეერთებულია მასში ორი ბუნება – ღმრთაებრივი და ადამიანური.

ხატში არ არის შუქჩრდილი, რადგან იგი გამოხატავს აბსოლუტური სინათლის სამყაროს. როგორც უკვე ვთქვით, სინათლე ხატში გამოსახულია ოქროს ფონით. სინათლე და ფერი განსაზღვრავენ ხატის განწყობას. კლასიკური ხატი ყოველთვის სასიხარულოა, ეს არის დღესასწაული, მოწმობა გამარჯვებისა. გვიანდელი ხატების მწუხარე სახეები მოწმობენ, რომ ეკლესიამ დაკარგა თავდაპირველი ადდგომის სიხარული.

სივრცე და დრო ხატში აიგება თავისი განსაზღვრული კანონებით. ხატი გვიხსნის ახალ სამყოფელს, ის იხატება მარადიული თვალსაზრისით, ამიტომ მასში წარსული, აწმუო და მომავალი ერთდროულად არსებობენ. ხატი წარმოგვიდგენს ჩვენ გარდაქმნილ სამყაროს და მასში ხშირად ჩვეულებრივი ლოგიკის საწინააღმდეგო რაღაციებია გამოსახული. ხატის სივრცე და დრო არაბუნებრივია. ისინი ამქვეყნიურ კანონებს არ ემორჩილებიან. სამყარო ხატზე წარმოდგენილია თითქოსდა გადმობრუნებულად. ჩვენ კი არ ვუყურებთ მას, არამედ ის თითქოს ჩვენს გარშემოა. მზერა მიმართულია არა გარედან, არამედ შიგნიდან. ასე იქმნება „შებრუნებული პერსპექტივა“.

როგორც ზემოთ ვთქვით, ხატი ტექსტის პრინციპითაა აგებული. მასში ყველაფერი – ფერი, სინათლე, ჟესტი, სახე, სივრცე და დრო – სიმბოლური ნიშნებია, მაგრამ ხატის წაკითხვის პროცესი არ შედგება ამ ნიშნებისაგან. მნიშვნელივანია კონსპექტი, რომელშიც ერთი და იგივე ელემენტი საკმაოდ დიდი დიაპაზონითაა წარმოდგენილი. ხატი არ არის სკიპტოგრამა, ამიტომ მისი

წაკითხვის პროცესი არ შეიძლება მდგომარეობდეს ერთჯერადი გასაღების პოვნაში. აქ აუცილებელია ხანგრძლივი ჭვრება, რომელშიც მონაწილეობენ გული და გონება. შეხვედრის წერტილი მდებარეობს ორი სამყაროს გადაკვეთაზე. რაც უფრო უმანკოა ადამიანი, რომელიც ხატს ჭვრებს, მით უფრო მეტს აღმოაჩენს მასში, და რაც უფრო მეტი ეხსნება ადამიანს ხატში, მით უფრო ღრმაა მასში ცვლილება. სახიფათოა კონსექტის იგნორირება, ნიშნის ამოგლეჯა ცოცხალი ორგანიზმიდან, სადაც ის ურთიერთქმედებს სხვა ნიშნებსა და სიმბოლოებთან.

ღმრთის შეცნობა ის პროცესია, რომელშიც ადამიანის მთელი სულიერი ძალები მონაწილეობენ. საეკლესიო ღმრთისმსახურება არის სიმბოლოთა სისტემა, რომელშიც ადამიანის მთლიანი პიროვნება ერთვება და ეკლესიის რიტუალების რეალური მონაწილე ხდება. ამისათვის საჭიროა რთული სიმბოლიკა, რადგან ადამიანს არ გააჩნია ის სიმარტივე, რომ სულიერი სამყაროს უბრალო ხედვა სეძლოს. ცოდვამ სირთულე და რდვევა შეიტანა ადამიანის სულსა და სხეულში. ადამიანი წინააღმდეგობათა დახლართული გორგალია. მას ისევე არ ძალუქს სულიერი სამყაროს ხედვა, როგორც მზისთვის თვალის გასწორება. მაგრამ სიმბოლოებისა და იგავური გამონათქვამების მეშვეობით, თითქოს მზის სათვალით მარადიული სინათლის ქვეყანას ჭვრებს.

ნებისმიერი წმინდა სიმბოლოს აღქმისათვის აუცილებელია რწმენა. ასეთი რწმენა ითვალისწინებს ცოცხალ კონტაქტს სიმბოლოს აღმქმელსა და აღსაქმელ შინაარს შორის. სიმბოლო არც რაციონალურის ცოდნის სათავეა. პირველსახესთან კავშირის გარეშე მისი ჭვრება შეცდომამდე მიგვიყვანს. სიმბოლოს „რაციონალიზება“ ფარავს მის ჭეშმარიტ აზრს და ცვლის სიყალბით. სიმბოლო „დუმს“ როდესაც ჩვენ მას რაციონალურად ვეკიდებით, „დუმს“ სწორედ პასიური დამოკიდებულების საპასუხოდ. სიმბოლოს პასიურ ჭვრებას არ ახლავს სულიერი სიფხიზლე, რადგან იგი მიზნად არ ისახავს იმის შემეცნებას თუ როგორ აირეკლება ღმრთაებრივი სამყარო სიმბოლოებში. ასეთი ჭვრება ადამიანს ხილულ სამყაროში ტოვებს და არ აჰყავს უფრო მაღალ საფეხურზე. სიმბოლური შინაარსი, სანამ ის „მონაცემად“ იქცევა აღმქმელისათვის, შეთვისებული უნდა იქნას, როგორც „მოცემულობის წინაპირობა“, რომლის ჩაწვდომაც სულიერ აქტივობას მოითხოვს.

სიმბოლური განმარტებანი ვერ მოიცავს ურიცხვ რელიგიურ სიმბოლოებს, რადგან გარემომცველი სამყაროს სიმბოლოები მოკლებულნი არიან სულიერ ძალას. ღმრთაებრივ სიმბოლოებს განმარტება კი არა, სულიერი გამჭრიახობა და დაკვირვებულობა სჭირდება.

ამრიგად, სიმბოლოს წვდომა მხოლოდ გონების ძალით შეუძლებელია. მისი ახსნა და სულიერი ძალის გამოვლენა მხოლოდ სულიერ სამყაროსთან ონტოლოგიური შეხების დროსაა შესაძლებელი. სიმბოლოს არსში გარკვევა უნდა მოხდეს რწმენის საშუალებით, რომლის მეშვეობითაც ემპირიულ რეალობას სულიერი რეალობისაგან ვანსხვავებო.

ანდრია ვაშაკიძე